

იუსტიციის მინისტრმა ქუთაისში რეგიონული ოფისები გახსნა
A2



იმპორტიორები საბაჟო დეპარტამენტის წინააღმდეგ
A3



გახშირებული აფეთქებები თურქეთში
A4


# 24 საათი

www.24hours.ge — ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი — სამშაბათი, 9 აგვისტო, 2005 წელი. №180 (1040) — ფასი 50 თეთრი


## ამბები

### აბაშიძის ყოფილ პრესმდივანს განაჩენი გამოუტანეს

უახლოეს დღეებში აჭარის უმაღლესი სასამართლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ყოფილი მეთაურის ასლან აბაშიძის ყოფილი პრესმდივნის და აჭარის ტელერადიო მაუწყებლობის ყოფილი თავმჯდომარის თამაზ ბაკურიძისთვის გამოტანილი განაჩენის გაუქმება-არგაუქმების საკითხზე იმსჯელებს.

A2

## ამბები

### რუსთავის ხელისუფლებაში ახალი სახეები ძველები იქნებიან

რუსთავში ყველაზე აქტუალური თემა მერიაში მოსალოდნელი საკადრო ცვლილებებია. გუშინ ყველა თანამდებობის პირმა გათავისუფლების მოთხოვნით განცხადება დაწერა.

A2

## ამბები

### სავალუტო ფონდის წარმომადგენელი ფოთში არსებულ ვითარებას გაეცნო

საბიუჯეტო ორგანიზაციებში, ნავსადგურისა და სხვა საწარმოებში დასაქმებული ხუთი ათასზე მეტი მოქალაქე კი ორმოცდაათი ათასამდე ფოთელისთვის ამინდს ვერ ქმნის.

A3

## რევიუ

### „თუ სადმე ახლოს მეგულებოდა, ვერ ვიძინებდი"

გარდაცვლილი კოლეგის მოწიწებით გახსენება ის ეტიკეტია, რომელსაც ყველა შეგნებული კოლეგა იცავს. პიტერ ჯენინგსი – "ეი ბი სი"-ს სახე – გუშინ ინტერნეტ გამოცემებისა და ტელევიზიის მთავარ ბლოკებში მხოლოდ ამ ეტიკეტის გამო არ მოხვედრილა. მისმა გარდაცვალებამ მთელი მსოფლიო მედია გულწრფელად დაამწუხრა.

A5

## ამინდი

| | 9/08 | 10 /08 |
|---|---|---|
| თბილისი | 38 | 36 |
| ტყიბული | 35 | 35 |
| სოხუმი | 35 | 35 |
| დმანისი | 30 | 30 |
| გორი | 32 | 32 |
| ონი | 27 | 28 |
| ზუგდიდი | 37 | 37 |
| ახმეტა | 37 | 34 |
| გაგრა | 33 | 35 |
| სამტრედია | 37 | 37 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8025 |
| ევრო | 2.2320 |
| ბირთანეთი სტერლ. | 3.2059 |
| რუბლი | 0.0634 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| ამბები | A 3 |
| უცხოეთი | A 4 |
| რევიუ | A 5 |
| სპორტი | A 6 |
| ტენდერი | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |


# ენერგომომარაგებაში კვლავ შეფერხებებია

### მინისტრი გილაური პრობლემების არსებობას უარყოფს

*საქართველოს ენერგოსექტორში კვლავ პრობლემებია. გუშინ დილიდან გამორთული იყო ენგურჰესის ორი აგრეგატი, რის გამოც შეზღუდვები უკვე არა მხოლოდ რეგიონებს, არამედ თბილისსაც შეეხო. შეგახსენებთ - სამი დღის წინ "ენგურჰესში" ერთი აგრეგატი გამოირთო, რამაც სისტემაში 200 მეგავატის სიმძლავრის დეფიციტი წარმოშვა. გუშინ ენერგეტიკოსებმა ენგურის ჰიდროელექტროსადგურში გეგმაზომიერად გამორთეს კიდევ ერთი აგრეგატი, რომლის ჩართვაც გუშინვე, ამ თემის ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟის შემდეგ "მოხერხდა".*

დიანა ჩაჩუა

გუშინ დილით საქართველოს ენერგოსისტემაში შექმნილი ახალი პრობლემების შესახებ გახდა ცნობილი. სარემონტო სამუშაოების მიზნით, ენგურჰესის მეორე აგრეგატი გამოირთო, რის გამოც, საბითუმო ბაზრის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 14 საათამდე, ისედაც სამი დღის წინ გამორთული აგრეგატის გამო არსებულ 200-მეგავატიან დეფიციტს კიდევ

გაგრძელება A3 გვერდზე

# თბილისში ხუთასამდე ავტობუსი ივლის



დედაქალაქის მერმა და სატრანსპორტო სამსახურის უფროსმა კაბრიოლეტის ტიპის ავტობუსით გაისეირნეს.

თამარ მაისურაძე

გახსნილი ავტობუსი, რომლითაც ქალაქის მერმა გიგი უგულავამ გუშინ მერიიდან აეროპორტის მიმართულებით იმგზავრა, ჰოლანდიის საჩუქარი ყოფილა, რომელიც უკვე ერთი წელია, რაც თბილისში ჩამოიყვანეს. "ეს ავტობუსი, ძირითადად, ბავშვებს მოეწონებათ," - აღნიშნა მან და ავტობუსის მიმართ, რომლის დანახვაც ფეხით მოსიარულეებს ღიმილს გვრიდა, საკუთარი სიმპათიაც ვერ დაფარა. თბილისის მერი ფიქრობს, რომ მსგავსი "ავტობუს-კაბრიოლეტები" თბილისში, უფრო კონკრეტულად კი, დედაქალაქის ძველ უბნებში უნდა დადიოდნენ, რათა ბავშვებთან ერთად ტურისტებმაც კარგად შეძლონ ძველი ქუჩების დანახვა.

თბილისის მერის მერიიდან გასვლის მთავარი მიზეზი არა გახსნილი ავტობუსით მგზავრობა, არამედ N5 საავტობუსო ფარეხის ტერიტორიაზე მისვლა გახლდათ.

გაგრძელება A3 გვერდზე

# საფოსტო კრიზისი იაპონიაში

### იაპონიის პრემიერ-მინისტრმა პარლამენტი დაითხოვა

ნიკა თარაშვილი

*იაპონიაში სახელისუფლებო კრიზისია. მთავრობის მეთაურმა ძუნიტურო კოიძუმიმ თავის კარიერაში, ალბათ, ყველაზე სარისკო ნაბიჯი გადადგა და ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს ქვედა პალატა დაითხოვა. რიგგარეშე არჩევნები 11 სექტემბერს არის დანიშნული.*

პარლამენტის დათხოვნის ინიციატივა იაპონიის პრემიერ-მინისტრისგან მოდიოდა. ასეთი, უდავოდ, სარისკო გადაწყვეტილება კოიძუმიმ მას შემდეგ მიიღო, რაც საკანონმდებლო ორგანოში მის მიერ წარმოდგენილი რეფორმის პროექტი ჩავარდა. კანონპროექტი ეხებოდა იაპონიის უზარმაზარი საფოსტო სამსახურის პრივატიზაციის საკითხს.

გაგრძელება A4 გვერდზე



„საფოსტო კრიზისმა", შესაძლოა, კოიძუმის მმართველობა შეიწიროს.

# ქართველ ტყისმჭრელებს მალე გაასამართლებენ

ზურაბ აფხაზავა
*სოხუმიდან*

როგორც აფხაზეთის გენერალური პროკურატურა იტყობინება, თორმეტი ქართველი ტყისმჭრელი სოხუმში, აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი დაკავების იზოლატორშია გადაყვანილი. გამოძიებას გალის რაიონის პროკურატურა აწარმოებს. ტყისმჭრელები სოხუმში იმიტომ გადაიყვანეს, რომ დაკავებულთა საიმედოდ იზოლირების პირობები გალში არ არსებობს. როგორც გენერალურ პროკურატურაში აცხადებენ, ამ საქმის გამოძიება მალე დასრულდება. ამჟამად მთავრდება სასამართლო-ეკოლოგიური ექსპერტიზა, რომელმაც უნდა დაადგინოს ქართველი ტყისმჭრელების მიერ ხის უკანონო ჭრის შედეგად აფხაზეთის სატყეო მეურნეობისთვის მიყენებული ზარალი.

დაკავებულები იზოლატორში მოინახულეს საერთაშორისო ორგანიზაციების, კერძოდ, წითელი ჯვრის წარმომადგენლებმა, აგრეთვე, აფხაზეთის გენერალურმა პროკურორმა ზაურ ბარციცმა. როგორც გენერალურ პროკურატურაში განმარტავენ, დაკავებულთა მონახულების აუცილებლობა განაპირობა გავრცელებულმა ინფორმაციამ ერთ-ერთი ტყისმჭრელის მძიმე ავადმყოფობისა და საქართველოს მოქალაქეებისთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების შესახებ.

**"იზოლატორში სტუმრობის შემდეგ, ჩვენ შეგვიძლია ერთმნიშვნელოვნად უარვყოთ ინფორმაცია დაკავებულთა ავადმყოფობისა და ცემის შესახებ. ისინი ისეთივე პირობებში არიან, როგორშიც სხვა დაკავებულები და თავს ნორმალურად გრძნობენ. სხვა პატიმრების მხრიდან მათ მიმართ რაიმე განსაკუთრებული დამოკიდებულება, მით უმეტეს - ეროვნულ ნიადაგზე დაფუძნებული, არ არსებობს,"** - აცხადებენ გენერალურ პროკურატურაში.

ქართველი ტყისმჭრელების ინტერესებს ოთხი ადვოკატი იცავს. მათ შორის არიან აფხაზეთში ცნობილი ადვოკატები ივანე ზარანდია და კონსტანტინე ჩაგავა. სხვათა შორის, ორივე მათგანი სასამართლო პროცესზე იცავდა ალექსანდრე ანქვაბს, როდესაც მას ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაზე უარი უთხრა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# რას აჩვენებს პირველი სოციოლოგიური კვლევა სამხედრო ნაწილებში?

*სულ მალე საზოგადოებისათვის ცნობილი უნდა გახდეს სოცილოგიური კვლევის შედეგები, რომელიც თავდაცვის სამინისტრომ სოციოლოგიური კვლევის ცნობილ ორგანიზაცია "გორბ-გელაპ ჯორჯიას" დაუკვეთა. ამით სამხედრო უწყებას სურს მიიღოს შეულამაზებელი სურათი, თუ რა ხდება სამხედრო ნაწილებში და მოახდინოს დანაშაულთა პრევენცია.*

კობა ლიკლიკაძე
*„რადიო თავისუფლება" სპეციალურად „24 საათისთვის"*

ათჯერ გაზრდილი ბიუჯეტი, კეთილმოწყობილი ყაზარმები, სრულფასოვანი კვება, ამერიკული უნიფორმა და თვალისმომჭრელი აღლუმები საკმარისი არ აღმოჩნდა იმისათვის, რომ ნატოსკენ მიმავალ საქართველოს არმიაში დისციპლინა დამყარებულიყო. ბოლო 3 თვის განმავლობაში გაურკვეველ ვითარებაში 6 სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა. მათგან სამმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაამთავრა. ამას ემატება არასაწესდებო ურთიერთობები ყაზარმებში, ახალბედა ჯარისკაცების ჩაგვრისა და ცემის ფაქტები უფროსი თაობის სამხედროების მხრიდან. არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლები ღიად საუბრობენ "ქურდული ტრადიციების" გავრცელებაზე საჯარისო ნაწილებში.

**"მაქვს ეჭვი, რომ საბჭოთა "დედოვშჩინა" შეიცვალა რაღაც სხვა ფორმით, რაღაც ღირსების შემლახველი ფორმით,"** - აცხადებს დამოუკიდებელი ექსპერტი მაია ნიკოლეიშვილი.

ასეთი ეჭვები არამხოლოდ მაია ნიკოლეიშვილს აქვს. სამხედრო უწყების ხელმძღვანელობაც უკანასკნელ ხანს სულ უფრო ემხრობა მოსაზრებას, რომ ადგილებზე მეთაურები არ ფლობენ რეალურ ინფორმაციას პირადი შემადგენლობის მორალურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობის შესახებ; ხოლო დისციპლინის უხეში

გაგრძელება A3 გვერდზე

# ირანის ბირთვული რეაქტორი - გაერო-ს დამკვირვებელთა ყურადღების ცენტრში

პირველი გვერდიდან

ბი-ბი-სი-ს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, საერთაშორისო ატომური ენერგიის სააგენტოს ინსპექტორები ირანში ჩავიდნენ ისფაჰანის ბირთვული რეაქტორის დასათვალიერებლად. ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით ევროპელების გაფრთხილების მიუხედავად, ირანმა გადაწყვიტა, მაინც გაეგრძელებინა სამშვიდობო მიზნებით ბირთვულ სფეროში საქმიანობა. ისფაჰანის ბირთვულ ობიექტზე სამუშაოები გასული წლის ნოემბრიდან დროებით იყო შეწყვეტილი.

**"სააგენტოს ტექნიკური პერსონალი ისფაჰანის ბირთვულ ობიექტზე სამეთვალყურეო კამერების დასამონტაჟებლად ჩავიდა,"** - აღნიშნა საერთაშორისო ატომური ენერგიის სააგენტოს ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, რომელმაც "როიტერ"-თან საუბარში ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა.

ისფაჰანის ბირთვულ ცენტრში სამუშაოების განახლების შესახებ თეირანმა საერთაშორისო ატომური ენერგიის სააგენტოს ერთი კვირის წინ შეატყობინა. გადაწყვეტილება იმით იყო მოტივირებული, რომ ევროკავშირმა ირანს მისი ბირთვული პროგრამის პრობლემით გამოწვეული კრიზისის მოგვარებისთვის წინადადებათა პაკეტი წინასწარ შეთანხმებულ ვადებში - ანუ 1 აგვისტოს არ წარუდგინა. "ევროპულმა სამეულმა" (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია) თავისი პროექტი თეირანს მხოლოდ პარასკევს, 5 აგვისტოს გადასცა. დაგვიანებით გადაცემული დოკუმენტი ირანმა უარყო, თუმცა ამის მიზეზი, დაგვიანების გარდა, ოფიციალური თეირანის თქმით, ისიც იყო, რომ აღნიშნულ დოკუმენტში იგნორირებულია ისლამური რესპუბლიკის უფლება, აწარმოოს ურანის გამამდიდრებელი სამუშაოები და ქვეყანაში სრული ბირთვული ციკლი შექმნას.

გაგრძელება A4 გვერდზე

## რუსთავის ხელისუფლებაში ახალი სახეები ძველები იქნებიან

მაია მოსიაშვილი

"ყველაფერი ახალი კარგად დავიწყებული ძველია," - ფრანგი კუტურიეების ეს საყვარელი ლოზუნგი, როგორც ჩანს, რუსთავის ახალი მერის, დავით ნადაშვილის საკადრო პოლიტიკაში ერთ-ერთი მთავარი და აქტუალური იქნება. ის პირველივე სამუშაო დღეს ფორსმაჟორულ სიტუაციაში აღმოჩნდა - დღის პირველ ნახევარში წყალმომარაგებაში მომხდარ დიდ ავარიას აწესრიგებდა, მეორეში კი ქალაქის ცენტრში გაჩენილი ხანძრის ლოკალიზებით იყო დაკავებული. საკადრო ცვლილებებისათვის თითქმის ვერ მოიცალა, თუმცა პრესის შემოტევას ღირსეულად გაუძლო.

**"რუსთავის მთავრობის ახალი შემადგენლობა ორ კვირაში დამტკიცდება. მერის მოადგილეები კონკურსის გარეშე დაინიშნებიან, ყველა სხვა დანარჩენ ადგილზე კი კონკურსების ჩატარებას ვგეგმავთ. შტატები ყველგან გაზრდილია და ისინი შემცირდება. ამ ხალხს საქმის კეთებისთვის დიდი პერიოდი ჰქონდათ, ჩვენ გვინდა ახალი სახეები მოვიყვანოთ, რომლებიც პრობლემების მოგვარებას შეძლებენ,"** - განაცხადა ახალმა მერმა. მისი თქმით, კონკურსები სექტემბერში ჩატარდება, რადგან ახლა რუსთავის მოსახლეობის დიდი ნაწილი ქალაქიდან არის გასული.

რუსთავში ყველაზე აქტუალური თემა მერიაში მოსალოდნელი საკადრო ცვლილებებია. გუშინ ყველა თანამდებობის პირმა გათავისუფლების მოთხოვნით განცხადება დაწერა, თუმცა არც ერთი მათგანი საკუთარი ნებით სამსახურიდან წასვლას არ აპირებს. ისინი ახალი მერის ვერდიქტს ელოდებიან, ის კი კონკრეტიკისაგან თავს იკავებს და ამბობს, რომ მზად არის ზოგ მათგანს კიდევ ერთი შანსი მისცეს.

და მაინც, ვინ იქნებიან ახალი სახეები და საიდან უნდა მოვიდნენ ისინი?

"ძალიან ბევრი წარმოება-ორგანიზაცია დღეს გაჩერებულია და იქ მომუშავე ინტელიგენცია უმუშევართა ზღვაშია მოხვედრილი. ეს მართლაც ის ხალხია, რომლებმაც პრაქტიკული მუშაობა იციან. ჩვენთვის მთავარია, რომ ხელმძღვანელ პოსტზე და სხვაგანაც მოვიდეს პრაქტიკულად საქმის გამკეთებელი ხალხი. მე, რა თქმა უნდა, მინდა ახალგაზრდებიც მოვიდნენ, მაგრამ დროში ისე ვართ შეზღუდულები, რომ არ არის გამორიცხული, ძველი კადრები მოვიძიოთ, ისინი, ვისაც რაღაც უკვე გაუკეთებია ამ ქალაქში," - ასეთი მინიშნება გააკეთა დავით ნადაშვილმა "24 საათთან" საუბარში. ეს ყველაფერი კი იმას ნიშნავს, რომ რუსთავში მოსალოდნელი საკადრო ცვლილებები სურპრიზებით იქნება სავსე.

რუსთავის მერს კიდევ ერთი საინტერესო იდეა აქვს. მას რუსთავის ეკონომიკური პოტენციალის გაზრდის მიზნით, საზოგადოებრივი სათათბიროს შექმნა აქვს გადაწყვეტილი, რომელშიც იმ წარმოებების ყოფილი თუ ახლანდელი დირექტორები შევლენ, რომლებმაც რუსთავს სტრატეგიული დარგები შემოუნახეს.

"საქმის კეთებისთვის მთავარია გამოცდილება და ცოდნა," - ამბობს ნადაშვილი.

## რუსული სამხედრო ტექნიკის გაყვანა კვლავ გადაიდო

ახალქალაქის რუსული ბაზის საავტომობილო სამხედრო კოლონის საქართველოდან გასვლა კვლავ გადაიდო. როგორც რუსეთის სამხედრო დაჯგუფების შტაბში აცხადებენ, შეფერხება კვლავ რუსეთ-საქართველოს საზღვრთან, ზემო ლარსის საკონტროლო-გამშვებ პუნქტთან შექმნილ პრობლემებს უკავშირდება. როგორც ცნობილია, ხშირმა წვიმებმა საქართველოს სამხედრო გზის მონაკვეთი დააზიანა, რის გამოც საქართველო-რუსეთის საზღვარზე, ზემო ლარსის საკონტროლო-გამშვებ პუნქტთან, ორი დღის მანძილზე, მოძრაობა ჩაკეტილი იყო. ამჟამად იქ მოძრაობა ნაწილობრივ აღდგენილია, თუმცა ჩამოწოლილმა ზვავმა დამატებითი პრობლემები შექმნა. როგორც თავდაცვის სამინისტროში აცხადებენ, გზის აღდგენა ორ-სამ დღეში მოხერხდება, რის შემდეგაც მცხეთაში დაბანაკებული ტექნიკა, ხუთი ერთეული სამხედრო მანქანა და რამდენიმე ავტომობილი გზას ვლადიკავკაზისკენ გააგრძელებს.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## ქართველმა მესაზღვრეებმა საზღვრის დამრღვევი რამდენიმე პირი დააკავეს

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო დარღვევის ფაქტზე ქართველმა მესაზღვრეებმა რამდენიმე მოქალაქე დააკავეს.

როგორც სასაზღვრო უწყების პრესსამსახურში აცხადებენ, თბილისის აეროპორტში, "თბილისი-დონეცკის" რეისზე მესაზღვრეებმა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ძებნილი საქართველოს მოქალაქე დააკავეს. შემდგომი რეაგირებისთვის იგი ისანი-სამგორის პოლიციას გადაეცა.

გარდა ამისა, რეგიონული სამმართველო "ყაზბეგის" სასაზღვრო სამიგრაციო კონტროლის განყოფილება "დარიალში" რუსეთის ფედერაციის მიმართულებით გასვლის მცდელობისას დააკავეს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც პასპორტში სურათის გაყალბების ნიშნები აღენიშნებოდა.

საქართველოდან ყალბი პასპორტით გასვლის მცდელობისას კი მესაზღვრეებმა ერთ-ერთი მოქალაქე "ახალციხის" სასაზღვრო სამიგრაციო კონტროლის განყოფილება "ვალეს" საგუშაგოზე დააკავეს. საქმე შემდგომი რეაგირებისთვის ოპერატიულ-საგამოძიებო სამმართველოს გადაეცა.

*ინტერპრესნიუსი*

## კიდევ ერთი მოსამართლე დააკავეს

პროკურატურის თანამშრომლებმა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ნონა თოლორაია დააკავეს. ამის მიზეზი გახდა მოსამართლის მიერ ხუთი წლის წინ მიღებული გადაწყვეტილება, როდესაც, პროკურატურის მტკიცებით, მოსამართლემ განაჩენი პროკურორის დაუსწრებლად გამოიტანა.

როგორც გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილე კახა მაჭავარიანი აცხადებს, საქმეში პროკურორის მონაწილეობა სავალდებულო იყო, თუმცა მოსამართლემ განაჩენი პროკურორის დაუსწრებლად გამოიტანა.

მაჭავარიანის თქმით, ბრძანების ხელნაწერში და სასამართლო სხდომის ოქმში მითითებული იყო სხვა პროკურორი - კონსტანტინე ალანია, ხოლო უკვე დაბეჭდილ ვარიანტში, რომელიც სისხლის სამართლის საქმეში იყო მოთავსებული, მითითებული იყო პროკურორი კოდუა.

პროკურატურის მტკიცებით, კოდუა იმ მომენტში გენერალურ პროკურატურაში კოლეგიის სხდომაზე იმყოფებოდა და სასამართლოს ვერ დაესწრებოდა.

ნონა თოლორაიას წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე 336-ე მუხლის პირველი ნაწილით აღიძრა. გამოძიების მტკიცებით, მის პასუხისმგებლობაში მისაცემად საკმარისი მტკიცებულებები არსებობს. გარდა ამისა, გამოძიება მოითხოვს, რომ თოლორაია სასამართლო ორგანოს ჩამოშორდეს.

მოსამართლე თოლორაიას სასამართლომ, აღკვეთის ღონისძიების სახით, 5 ათასი ლარის ოდენობის გირაოს გადახდა დააკისრა. თავად თოლორაია ბრალდებებს უარყოფს და მის დაკავებას გაუგებრობას უწოდებს.

*ინტერპრესნიუსი*

## იუსტიციის მინისტრმა ქუთაისში რეგიონული ოფისები გახსნა

მაია მეცხვარიშვილი
*ქუთაისიდან*

*საქართველოს იუსტიციის მინისტრმა ქუთაისში მის უწყებას დაქვემდებარებული ტერიტორიული დანაყოფები მოინახულა. ვიზიტის ფარგლებში კოტე კემულარია ქუთაისის N2 საპყრობილესაც ეწვია, რომლის მშენებლობაც აგვისტოს ბოლოს დასრულდება. მინისტრის თქმით, ქუთაისის სასჯელაღსრულების დაწესებულების მშენებლობა 10 მილიონი ლარი დაჯდა.*

საპყრობილე ორი კორპუსისგან შედგება, რომლებშიც მომავალში განთავსდებიან წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირები და განსასჯელებიც, მათ შორის - ქალებიც, მამაკაცებიც და არასრულწლოვნებიც. ჯამში, ქუთაისის ახალი ციხე 1500 პატიმარზეა გათვლილი. თითოეულ საკანში დამონტაჟებულია იზოლირებული სველი წერტილები. მინისტრის თქმით, ქუთაისის საპყრობილე რუსთავის ციხესთან ერთად საქართველოში სამოდელო დაწესებულება იქნება. ახალი ციხის თანამშრომლების შესარჩევად ქუთაისში კონკურსი უკვე გამოცხადებულია. აღნიშნულ სამსახურში 300 ვაკანსიაა სხვადასხვა ტიპის თანამდებობაზე, თანაც - საკმაოდ მაღალანაზღაურებადი ხელფასით (საშუალოდ, 150-დან - 950 ლარამდე). კონკურსის პირველი ეტაპი, რომელიც საბუთების შერჩევას ითვალისწინებს, 11-დან - 16 აგვისტომდე ჩატარდება. უპირატესობა უმაღლესი განათლების მქონე, კომპიუტერული პროგრამებისა და უცხო ენების მცოდნე კონკურსანტებს მიენიჭებათ. კონკურსის მეორე ეტაპზე გასული მონაწილეები კი 18-დან - 24 აგვისტოს ჩათვლით გასაუბრებას გაივლიან, რომელიც იუსტიციის სამინისტროში ჩატარდება. კონკურსში მონაწილეობის მსურველთა საბუთების მიღება 28 ივლისს დაიწყო და 10 აგვისტომდე გასტანს. კონკურსის საბოლოო შედეგები 25 აგვისტოს გახდება ცნობილი. შერჩეულ თანამშრომლებს 29 აგვისტოდან "ეუთო-სა" და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლები ერთთვიანი მომზადების კურსს ჩაუტარებენ.



*იუსტიციის მინისტრმა თავად შეამოწმა როგორ მუშაობს ტექნიკა ახალ ოფისებში.*

იუსტიციის მინისტრმა და იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს უფროსმა ირაკლი კლდიაშვილმა ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს იმერეთის რეგიონული სამსახურის ოფისი გახსნეს.

**"მოხარული ვარ, რომ ქუთაისში ამ სამსახურის გახსნის შესაძლებლობა მოგვეცა. იმედია, საქართველოს მეორე ქალაქში ექსპერტიზის სამსახურის საქმიანობა წარმატებული გახდება და უახლოეს მომავალში აქ ყველა სახის ექსპერტიზის ჩატარება იქნება შესაძლებელი",** - განაცხადა კოტე კემულარიამ.

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს იმერეთის რეგიონული სამსახურისათვის ორსართულიანი შენობა რამდენიმე კვირის წინათ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ გადასცა. რეგიონულ სამსახურში ამჟამად ათი ექსპერტი მუშაობს. უახლოეს მომავალში სამსახურში არსებული ვაკანსიები გაორმაგდება და მის დასაკავებლად კონკურსი გამოცხადდება. ირაკლი კლდიაშვილის ინფორმაციით, ამ ეტაპზე იმერეთის რეგიონულ სამსახურში შესაძლებელია სასამართლო - სამედიცინო, საინჟინრო - ტექნიკური, ავტოტექნიკური, ნარკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარება. აქვე განთავსდა პროზექტურაც.

ვიზიტის ძირითადი მიზანი კი ქუთაისში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელი ტერიტორიული ორგანოს ოფისის გახსნა გახლდათ. იუსტიციის მინისტრმა და ევროკავშირის წარმომადგენელმა ანდრიანა ლონგონმა ქუთაისში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელი ტერიტორიული ორგანოს ოფისი გახსნეს. ახალ ოფისში საპასპორტო და მოსახლეობის რეგისტრაციის სამსახურისა და სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს ფუნქციებია გაერთიანებული და მასში 12 თანამშრომელია დასაქმებული. ოფისი გარემონტდა და აღიჭურვა იუსტიციის სამინისტროს, ევროკავშირისა და გაერო-ს განვითარების პროგრამის ერთობლივი ექვსთვიანი პროექტის საპასპორტო სისტემის რეფორმა 2004 წლის ნოემბრიდან დაიწყო, როდესაც ეს სისტემა, იუსტიციის სამინისტროში დაქვემდებარებაში გადასვლით, სამოქალაქო სტრუქტურა გახდა. რეფორმის ძირითადი მიზანი "ერთი სარკმლის პრინციპის" დამკვიდრებაა. ახალ ოფისებში მოსახლეობას საშუალება ექნება, 14 დასახელების დოკუმენტი მიიღოს, მათ შორის - მოქალაქის პირადობის მოწმობა, საქართველოს მოქალაქის პასპორტი, დაბადების, ქორწინების მოწმობები და სხვა. პროექტის ფარგლებში, უახლოეს მომავალში დასრულდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელი ტერიტორიული ორგანოს თბილისისა და მარნეულის ოფისების რემონტი და აღჭურვა.

მინისტრის ვიზიტი მოულოდნელი "თავდასხმა" აღმოჩნდა საჯარო რეესტრის სამსახურის თანამშრომლებისთვის. აღნიშნული დაწესებულების მუშაობით კოტე კემულარია აშკარად უკმაყოფილო დარჩა და აღნიშნა, რომ შესაბამის გადაწყვეტილებას აღნიშნული უწყების ხელმძღვანელების მიმართ თბილისში საკითხის დამატებითი განხილვის შემდეგ მიიღებს.

## აბაშიძის ყოფილ პრესმდივანს განაჩენი გამოუტანეს

*უახლოეს დღეებში აჭარის უმაღლესი სასამართლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ყოფილი მეთაურის ასლან აბაშიძის ყოფილი პრესმდივნის და აჭარის ტელერადიო მაუწყებლობის ყოფილი თავმჯდომარის თამაზ ბაკურიძისთვის გამოტანილი განაჩენის გაუქმება-არგაუქმების საკითხზე იმსჯელებს. გაუქმდება თუ არა განაჩენი ან შემსუბუქდება თუ არა ბაკურიძისთვის მისჯილი სასჯელი, ამის თქმა წინასწარ ძნელია. 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა – ასეთია აჭარის საქალაქო სასამართლოს მიერ ბაკურიძისთვის თვენახევრის წინ გამოტანილი განაჩენი. ექვსწელიწადნახევრიანი პატიმრობის გარდა, მართლმსაჯულებამ მას საკმაოდ სოლიდური თანხის გადახდაც დააკისრა.*

თამაზ ბაკურიძის ინტერესების დაცვის მიზნით, სამი არასამთავრობო ორგანიზაცია გაერთიანდა. "ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრი", "დემოკრატიული პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კავშირი" და "დემოკრატიული კავშირის ახალგაზრდული ორგანიზაცია" – ეს ის ორგანიზაციებია, რომლებიც თამაზ ბაკურიძის სასამართლო პროცესის მონიტორინგს ახორციელებდნენ.

**"თამაზ ბაკურიძის საბრალდებო დასკვნა თავიდან ბოლომდე პოლიტიკური შეკვეთა იყო და ის ასლან აბაშიძის ხელისუფლების დროინდელ საბრალდებო დასკვნას ეყრდნობოდა. ბაკურიძისთვის გამოტანილი განაჩენი უსამართლოა, საქალაქო სასამართლოს მოსამართლე პროკურატურის არაობიექტურად გამოძიებულ საქმეს დაეყრდნო",** - ასე აფასებენ მონიტორინგის ჯგუფის წევრები ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენს. ისინი ამჯერად უკვე უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებას უცდიან და ბაკურიძის საქმის სტრასბურგამდე მიტანას აპირებენ. არასამთავრობო ორგანიზაციის წევრებმა, რომლებიც თამაზ ბაკურიძის 11-თვიან სასამართლო პროცესს ესწრებოდნენ, გუშინ მრგვალი მაგიდა გამართეს, სასამართლო პროცესზე განვითარებული მოვლენები იურიდიულ ჭრილში განიხილეს და განაჩენი აბსურდულად შეაფასეს; იმ შემთხვევაში, თუ აჭარის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებაც მათთვის მიუღებელი იქნება, ფართომასშტაბიანი აქციების გამართვას გეგმავენ. არასამთავრობო ორგანიცზაციების წევრები თამაზ ბაკურიძეს ახალი ხელისუფლების პოლიტპატიმარს უწოდებენ და უმაღლეს სასამართლოს საქმის ობიექტურად განხილვას სთხოვენ. მათთვის გაუგებარია სასამართლოს ამგვარი გადაწყვეტილება იმ ფონზე, როცა სასამართლო პროცესზე დაკითხულმა არც ერთმა მოწმემ და არც ერთმა დაზარალებულმა ბაკურიძის ბრალეულობა არ დაადასტურა.

**"გამოძიებას რომ თამაზ ბაკურიძის დანაშაულებრივი ქმედების არც ერთი მტკიცებულება არ ჰქონდა, ეს პროცესზე ყველამ ნახა. თუმცა, რატომღაც, ბათუმის საქალაქო სასამართლო მხოლოდ ასლან აბაშიძის დროინდელი კონტროლის პალატის დასკვნას დაეყრდნო და პროკურატურის მიერ დაწერილი საბრალდებო დასკვნა ბოლომდე დააკანონა. ამ განაჩენს, რა თქმა უნდა, ზემდგომ ინსტანციაში გავასაჩივრებთ და თუ საჭირო გახდება, საქმე სტრასბურგამდეც მიაღწევს. თუმცა, იმედი გვაქვს, რომ ზემდგომი ინსტანცია ამ სამარცხვინო განაჩენს გამოასწორებს",** - აცხადებენ მსჯავრდებულის დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციის წევრები. თანამდებობის ბოროტად გამოყენებისა და დიდი ოდენობის თანხების არამიზნობრივად ხარჯვაში მსჯავრდებული თამაზ ბაკურიძე, უკვე ერთი წელია, ბათუმის N3 საპყრობილეშია. მასაც და მის დამცველებსაც იმ საერთაშორისო ორგანიზაციების იმედი აქვთ, რომლებიც საქმეში არიან ჩართულნი. შეგახსენებთ, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების მიერ შემდგარმა მონიტორინგის ჯგუფმა ყოფილი პრესმდივნის საქმეში ეუთო-სა და გაერო-ს მისიის წარმომადგენლები კარგა ხნის წინ ჩართო. ეუთო-სა და გაერო-ს მისიის ოფიცრები საქმის დეტალებით დაინტერესდნენ და ბაკურიძე ბათუმის მესამე საპყრობილეში განაჩენის გამოტანამდე მოინახულეს. ორივე საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა მაშინ განაცხადეს, რომ სპეციალური დასკვნის მომზადებას და სათაო ოფისებში გაგზავნას გეგმავდნენ.

ჩვენი ინფორმაციით, განაჩენის გამოცხადების შემდეგ თამაზ ბაკურიძე ევროკავშირის წარმომადგენელმაც მოინახულა.

*24 საათი*

## ვლადიმერ არუთინიანს პალატაში რადიო შეუტანეს

ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში მყოფ ვლადიმერ არუთინიანს გუშინ მოთხოვნა ნაწილობრივ დაუკმაყოფილეს. ადვოკატის შუამდგომლობით, ბრალდებულმა ტელევიზორით სარგებლობა მოითხოვა. ციხის ადმინისტრაციამ ტელევიზორით სარგებლობაზე არუთინიანს უარი განუცხადა, რადიო კი მას პალატაში გუშინვე შეუტანეს.

როგორც არუთინიანის ადვოკატი აცხადებს, მისი დაცვის ქვეშ მყოფს სურს, თვალ-ყური ადევნოს საინფორმაციო პროგრამებს. ამის საშუალებას მას ქართული კანონმდებლობა აძლევს. "პატიმრობის შესახებ საქართველოს კანონის" თანახმად, პატიმარს პრესით სარგებლობის უფლება აქვს.

რაც შეეხება არუთინიანის ჯანმრთელობის მდგომარეობას, უკვე კარგა ხანია, არსებობს ინფორმაცია, რომ ბრალდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და გამოძიებისთვის მისი დაკითხვა ნებადართულია. ჩატარდა თუ არა არუთინიანთან საგამოძიებო მოქმედება, ამის შესახებ არავინ არაფერს ამბობს. ცნობილი გახლავთ მხოლოდ ის, რომ ტერორიზმის, განზრახ მკვლელობის, მკვლელობის მცდელობისა და იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარება-გამოყენებაში ბრალდებული პოლიციელის მკვლელობის ფაქტს უარყოფს, თავისუფლების მოედანზე 10 მაისს ხელყუმბარის სროლის ფაქტს კი, ისევე, როგორც დაკავებისას, დღესაც აღიარებს.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** დღეს ქართველ რკინიგზელთაგან შემდგარი, ექსპერტთა ცხრაკაციანი ჯგუფი, საქართველოს რეკინიგზის ტექნიკური დირექტორის იური ჭავჭანიძის ხელმძღვანელობით, რუსეთ-საქართველოს შორის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის ფარგლებში მოქმედი რუსეთის, საქართველოსა და აფხაზეთის სამთავრობო კომისიების ტექნიკური ჯგუფების სხდომაში მონაწილეობის მისაღებად სოხუმში გაემგზავრება. საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტში მიღებული ინფორმაციით, ქართველი რკინიგზელები აფხაზეთის ტერიტორიაზე 40 დღეს დაჰყოფენ და რუს და აფხაზ კოლეგებთან ერთად ფსოუ-ინგირის სარკინიგზო მონაკვეთის ტექნიკურ მდგომარეობას შეისწავლიან. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის" მთავარი კომიტეტის პრეზიდიუმი საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გასვლით სხდომებს განაგრძობს. გუშინ პარტიის პრეზიდიუმის წევრებმა შეხვედრა გურიის სამხარეო ბიუროსთან გამართეს. განხილვის მთავარი თემა პარტიის სამომავლო გეგმები და ამ პროცესში რეგიონული ორგანიზაციების როლის განსაზღვრა იყო. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**ახალქალაქი.** გუშინ, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ელენე თევდორაძე ჯავახეთში ჩავიდა და ახალქალაქის რაიონის ხელმძღვანელებსა და ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლებს შეხვდა. რეგიონში ყოფნის დროს იგი არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ასევე, სახალხო მოძრაობა "ჯავახკისა" და "ვირქის" ხელმძღვანელებთან შეხვედრას გეგმავს. ამის შემდეგ ელენე თევდორაძე ნინოწმინდაში ჩავა, სადაც მოსახლეობას შეხვდება და მათ პრობლემებს ადგილზე გაეცნობა. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიების რეგლამენტი ანუ ტექნიკური მუშაობის ახალი წესი დაამტკიცეს. ცესკო-ს თავმჯდომარის, გია ქავთარაძის თქმით, "ახალი სამუშაო წესების დამტკიცება საარჩევნო კოდექსში შეტანილმა ცვლილებებმა განაპირობა". ტექნიკური ხასიათის ცვლილებები საოლქო და საუბნო კომისიების თავმჯდომარეებს შეეხო. სხდომაზე ამომრჩეველთა სიებისა და განცხადებების ფორმებიც დაამტკიცეს. ერთ-ერთი ცვლილების მიხედვით, ამომრჩეველთა სიებიდან ამომრჩევლის მამის სახელი ამოვარდა და დარჩა მხოლოდ გვარ-სახელი. ცესკო-ში ამბობენ, რომ შეიძლება ამან პიროვნებების იდენტიფიკაცია გაართულოს. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

**თბილისი.** პირველი ოქტომბრის შუალედურ მაჟორიტარულ არჩევნებს ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, უცხოელი დამკვირვებლებიც გააკონტროლებენ. არჩევნებზე დამკვირვებლებად აშშ-ს ეროვნულ-დემოკრატიული და რესპუბლიკელი ინსტიტუტებისა და ევროსაბჭოს წარმომადგენლები იქნებიან. რაც შეეხება პოლიტიკურ პარტიებს, მათ თითოეულ საარჩევნო უბანში თითო დამკვირვებლის ყოლის უფლება აქვთ. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**სოხუმი**. აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის უშიშროების საბჭოს მდივანი სტანისლავ ლაკობა შიშობს, რომ საქართველოდან სამხედრო ბაზების გაყვანის შემდეგ რუსეთი აფხაზეთს მიატოვებს. "ვიმედოვნებ, რომ რუსეთი აფხაზეთს ასე უბრალოდ არ მიატოვებს, გამოიძებნება სხვადასხვა ვარიანტი, გაფორმდება რიგი ხელშეკრულებები. აფხაზეთის მიტოვება შავიზღვისპირა რეგიონის დაკარგვასა და ჩრდილოკავკასიის გაშიშვლებას ნიშნავს," - აცხადებს ლაკობა. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "აფხაზეთის რკინიგზის გახსნაზე პოლიტიკური გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის," - აცხადებს აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის მეთაური ირაკლი ალასანია. მისი განცხადებით, ექსპერტები ტექნიკურ საკითხებსა და იმ ფინანსების სავარაუდო მოცულობას ადგენენ, რაც 1992-1993 წლებში საომარი ვითარების დროს დაზიანებული რკინიგზის აღდგენას დასჭირდება. ალასანიას განცხადებით, ქართული მხარისთვის პრიორიტეტული კვლავ აფხაზეთში დევნილების დაბრუნებაა, თუმცა მოლაპარაკებების დროს ისეთ საკითხებსაც განიხილავენ, როგორიცაა ფსოუზე საბაჟო-გამშვები პუნქტის აღდგენა. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოში შუალედური არჩევნების ჩასატარებლად საჭირო თანხა მილიონ 219 000 ლარით განისაზღვრა. არჩევნების მომზადებისა და ჩატარების დაფინანსების გეგმა ცესკო-მ ფინანსთა სამინისტროს 2 აგვისტოს წარუდგინა. ფინანსთა სამინისტროს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტიდან არჩევნებისთვის გამოყოფილი ფულადი სახსრები ცესკო-ს ანგარიშზე 12 აგვისტომდე უნდა ჩაირიცხოს**. მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი**. "კონსერვატორებს" საპარლამენტო ფრაქციის შესაქმნელად ორი დეპუტატი აკლდებათ და თუ პარტია შუალედურ მაჟორიტარულ არჩევნებში ორი სადეპუტატო მანდატის მოპოვებას შეძლებს, შემდგომში პარლამენტში ახალი ფრაქცია "კონსერვატორები" ოფიციალურად გაფორმდება. "ფრაქციის შექმნა ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან ასეთ შემთხვევაში ჩვენ უკვე სხვა ბერკეტები გვექნება. თუმცა, ჩვენთვის ამ ეტაპზე ყველაზე მთავარი ოპოზიციის ერთიანობაა და ამიტომაც, ამჟამად ფრაქციაზე ნამდვილად არ ვფიქრობთ," - განაცხადა "კონსერვატორმა" ზვიად ძიძიგურმა. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ოპოზიციურმა პარტიებმა გუშინ ე.წ. "ალტერნატიული" ცესკო-ს წევრები დაასახელეს. პრაიმერის ცენტრალური საარჩევნო კომიტეტი, პარტიებს შორის მიღწეული შეთანხმებისამებრ, პარიტეტულ საწყისებზე დაკომპლექტდა. "კონსერვატორებმა" ცესკო-ში თავის წარმომადგენლებად ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა დაასახელეს, "მემარჯვენეებმა" - მამუკა კაციტაძე და გიორგი ცაგარეიშვილი, "ლეიბორისტებმა" - ჯონდი ბაღათურია და კახა ძაგანია, ხოლო პარტია "თავისუფლებამ" - სოსო ბარათაშვილი და დავით ბარდაველიძე. ოპოზიციის ცესკო-ს პირველი სხდომა 10 აგვისტოს ჩატარდება. სავარაუდოდ, ის ჟურნალისტებისთვის დახურული იქნება. **ჯი-ეიჩ-ენი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# თბილისში ხუთასამდე ავტობუსი ივლის

პირველი გვერდიდან

ამიერიდან, თბილისში მოძრავ მუნიციპალურ ავტობუსებს თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი სერვისცენტრი მოემსახურება, რომლის გახსნაშიც მონაწილეობა გუშინ თავად ქალაქის მერმა და ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელმა ზურაბ ჩიკვილაძემ მიიღეს. სერვისცენტრი N5 საავტობუსო ფარეხის ტერიტორიაზე მდებარეობს. ის ჰოლანდიური დანადგარებითაა აღჭურვილი და ყველა ტიპის, როგორც უცხოურ, ასევე საბჭოთა მარკის ავტობუსებს გაუწევს მომსახურებას. როგორც გაირკვა, ცენტრში დასაქმების მიზნით, შვიდმა ქართველმა სპეციალისტმა საჭირო მომზადება ჰოლანდიაში უკვე გაიარა. №5 საავტობუსო ფარეხში კი სულ დაახლოებით 200 კაცი მუშაობს.

როგორც ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელმა ზურაბ ჩიკვილაძემ განაცხადა,



ავტობუსების სერვისცენტრის გახსნა.

სერვისცენტრს შეუძლია, ერთდროულად 6 ავტობუსი შეაკეთოს. თუმცა, დღეისათვის რემონტს მხოლოდ ერთი, ჰოლანდიიდან ჩამოყვანილი, "დაფის" ფირმის ავტობუსი საჭიროებს. "სერვისცენტრი ევროსტანდარტებზეა გათვლილი. მისი გახსნა 250 ათასი ლარი დაჯდა. უახლოეს მომავალში, ვაშლიჯვარსა და გლდანში კიდევ ორი სერვისცენტრი გაიხსნება, რომლის ამუშავების საშუალებასაც უპროცენტო სესხი და 2 მილიონი ევროს ოდენობის გრანტი მოგვცემს," - განაცხადა ზურაბ ჩიკვილაძემ.

დღეს თბილისში 147 ჰოლანდიური ავტობუსი დადის, რომლებსაც 2-3 კვირაში კიდევ 77 დაემატება. ამავდროულად, დედაქალაქში 185 საშუალო ზომის ავტობუსიც მოძრაობს. საბოლოო ჯამში, თბილისში 500-მდე ავტობუსი ივლის, რაც, სავარაუდოდ, დედაქალაქის მოსახლეობისთვის "მარშრუტკების" ალტერნატივად გამოცხადდება.

# ენერგომომარაგებაში კვლავ შეფერხებებია

პირველი გვერდიდან

180 მეგავატი დაემატა, საიდან 70 მეგავატი თბილისზე მოდიოდა. ამასთან, ვერ მოხერხდა "ვარდნილჰესის" სისტემასთან მიერთებაც, რასაც დეფიციტი ნაწილობრივ უნდა შეევსო.

**"დღეს საღამოს საქართველოს ენერგოსისტემაში 200 მეგავატის სიმძლავრის დეფიციტი იქნება, რის გამოც შეიზღუდება როგორც რეგიონები, ასევე დედაქალაქი,"** - განაცხადეს საბითუმო ბაზარში გუშინ დილით.

მათივე ინფორმაციით, გუშინ "თელასს" 215 მეგავატი მიეწოდებოდა, გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას - 210; აჭარის რეგიონს - 80; კახეთს - 18; თურქეთში გადის - 80 მეგავატი.

აღნიშნულ განცხადებას მოჰყვა "თელასის" კომენტარიც - "თელასის" ინფორმაციით, 70-მეგავატიანი დეფიციტის პირობებში თბილისში, ცენტრალური უბნების გარდა, ყველა უბანი გამოირთვება. შეგახსენებთ, რომ 21 საათიდან 23 საათამდე თბილისში 30-მეგავატიანი შეზღუდვები 26 აგისტომდე ისედაც მოქმედებს.

ამ ინფორმაციის გავრცელებიდან სულ ორი საათი იყო გასული, როცა იმავე წყაროებზე დაყრდნობით ახალმა ინფორმაციამ გაიჟღერა: **"ენგურჰესში" გეგმაზომიერად გამორთული ერთი აგრეგატი ჩაირთო და დედაქალაქის ელექტრომომარაგებაში არსებული შეზღუდვები მოიხსნა."** ამის შესახებ, "ინტერპრესნიუსს" ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარში განუცხადეს. როგორც საბითუმო ბაზარში გუშინ აღნიშნავდნენ, კვლავ გამორთული რჩება "ენგურჰესის" კიდევ ერთი აგრეგატი, რის გამოც, სისტემაში 200 მეგავატის დეფიციტი არსებობს. **"გამორთული მეოთხე აგრეგატი, რომელიც რამდენიმე დღის წინ დაზიანდა, სავარაუდოდ, დღეს ჩაირთვება და ქვეყნის ელექტრომომარაგება ჩვეულ რეჟიმში გაგრძელდება,"** - განაცხადეს საბითუმო ბაზარში.

საღამოს 5 საათისთვის ამ თემაზე სპეციალური, რამდენიმეფრაზიანი ბრიფინგი მოიწვია ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა, რომელმაც უარყო ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის მიერ გავრცელებული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ენგურჰესის აგრეგატის ავარიული გამორთვის გამო, დეფიციტი 380 მეგავატია. როგორც გილაურმა გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო საქართველოს მასშტაბით შეზღუდვა დღეში მხოლოდ ერთი-ორი პროცენტი იქნება, რაც ქვეყნის ენერგომომარაგებას, მით უმეტეს - თბილისისას, მნიშვნელოვნად არ დაეტყობა.

# ქართველ ტყისმჭრელებს მალე გაასამართლებენ

პირველი გვერდიდან

როგორც ადვოკატი ივანე ზარანდია აცხადებს, ტყისმჭრელები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე არ იმყოფებოდნენ. ამჟამად ადვოკატები რუკის მეშვეობით იმის დაზუსტებას ცდილობენ, თუ სად იმყოფებოდნენ დაკავებულები. თუმცა, ისინი ვარაუდობენ, რომ ტერიტორიის კუთვნილება ძნელი დასადგენი იქნება. იმ ადგილებში გაუვალი ტყეებია, საზღვრის დელიმიტაცია კი, რა თქმა უნდა, არ მომხდარა. ამიტომ, როგორც ჩანს, დაცვის მხარის მთავარი ამოცანა იმის დამტკიცება იქნება, რომ დაკავებულებს აფხაზეთის საზღვარი არ დაურღვევიათ. თუ ამის დამტკიცება მოხდა, მათ გაათავისუფლებენ. ხოლო საწინააღმდეგო შემთხვევაში, ივანე ზარანდიას თქმით, დაკავებულ ქართველებს, შესაძლოა, საზღვრის უკანონო გადაკვეთისათვის ერთიდან სამ წლამდე, და ტყის უკანონო ჭრისათვის სამიდან ხუთ წლამდე პატიმრობა შეუფარდონ.

თავად ტყისმჭრელები აცხადებენ, რომ მათ მხოლოდ შეშის დამზადება სურდათ. ამავე დროს, გალის რაიონის შვიდი მცხოვრები, რომლებიც დაკავებულებთან ერთად იმყოფებოდნენ, გაათავისუფლეს და მათთვის ბრალი არ წაუყენებიათ, მიუხედავად იმისა, რომ ტყის უკანონო ჭრას ისინიც ეწეოდნენ.

ყველა ეს დეტალი სასამართლოზე გახდება ცნობილი, რომელიც, ალბათ, მომავალი კვირის დასაწყისში გაიმართება.

* * *

ქართული მხარე ხუთშაბათს, ჭუბურხინჯის მოლაპარაკებებზე კიდევ ერთხელ დააყენებს საკითხს 20 ივლისს აფხაზეთში, ხე-ტყის უკანონო ჭრისთვის დაკავებული ქართველების გათავისუფლების თაობაზე.

როგორც "24 საათთან" საუბარში ქართული სამშვიდობო ძალების სარდალმა ვალერი ჯაფარიძემ აღნიშნა, ამჟამად პატიმრობაში მყოფი 13 ქართველიდან აფხაზური მხარე არც ერთის გათავისუფლებას არ გეგმავს. მათვე უარი განაცხადეს დაკავებულებისათვის ქართველი ადვოკატის აყვანაზე იმ მოტივით, რომ დაცვას თავად აფხაზური მხარის მიერ შერჩეული ადვოკატები განახორციელებენ.

ჯაფარიძე უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, თითქოს ადგილი ჰქონდა დაკავებული ქართველების ფიზიკურ შეურაცხყოფას. მისი ინფორმაციით, ვითარების კონტროლს, ქართველებთან ერთად, გაერო-ს ადამიანის უფლებების დაცვის სოხუმის ოფისიც ახორციელებს, რომელთა წარმომადგენლებიც სოხუმის იზოლატორში მყოფ ქართველებს შეხვდნენ. მათი მხრიდან არანაირი პრეტენზია არ გამოთქმულა.

ქართულ მხარეს იმედი აქვს, რომ დარჩენილი 13 ადამიანის გათავისუფლება მოლაპარაკებების შედეგად მოხდება.

# როშკაში პირველი ნათურა აინთო

როშკაში წარმატებით დასრულდა მიკრო ჰიდროელექტროსადგურის საცდელი გაშვება, რის შედეგადაც, დუშეთის რაიონის სოფელ როშკის ისტორიაში პირველად, 500-ვატიანი ელექტრონათურა აინთო. IFAD-ის მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის ფარგლებში როშკის მიკროჰესის მშენებლობა 2003 წელს დაიწყო და ძირითადი სამუშაოები 2004 წლის ბოლოს დამთავრდა ზღვის დონიდან 2 ათას მეტრ სიმაღლეზე.

IFAD-ის პროგრამამ ჰესის მშენებლობა დაიწყო ადგილობრივი მოსახლეობის თხოვნისა და ქვეყნის იმჟამინდელი მთავრობის IFAD-თან შეთანხმების საფუძველზე. ჰესის სიმძლავრე 0,5 მეგავატია, რომელიც საკმარისია მთაში მცხოვრები 1000-მდე ოჯახისთვის. ჰესის მშენებლობა მაღალმთიანი რეგიონებისთვის დამახასიათებელ მეტად რთულ, მკაცრ მეტეოროლოგიურ პირობებში მიმდინარეობდა. მიკროჰესის აგრეგატის შენობამ და სათავე ნაგებობამ უკვე გაუძლო მიმდინარე წლის გაზაფხულზე აღნიშნულ რეგიონში განვითარებულ ღვარცოფებსა და მეწყრულ მოვლენებს.

მიკროჰესის აგრეგატის გამოცდა ორი კვირის განმავლობაში გაგრძელდება, რის შემდეგაც ჰესის ქსელში გაშვება და ოფიციალური ჩართვა მოხდება. პირველ ეტაპზე ელექტროენერგიით ხევსურეთისა და ფშავის ხეობების 2 საკრებულოს (ბარისახოს და უკანა ფშავის საკრებულოები) 18 სოფელი მომარაგდება.

*24 საათი*

# რას აჩვენებს პირველი სოციოლოგიური კვლევა სამხედრო ნაწილებში?

პირველი გვერდიდან

დარღვევისას მეთაურები ცდილობენ, პრობლემა კონკრეტული ნაწილის ფარგლებს გარეთ არ გავიდეს. ეს განსაკუთრებით ნიშანდობლივია იმ სამხედრო ნაწილებში, სადაც სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვეული კონტინგენტი მსახურობს.

როგორც თავდაცვის სამინისტროს პრესასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ნანა ინწკირველი ამბობს, **"ჯარისკაცების გამოკითხვა ანონიმურად წარმოებს, რათა მეთაურების მხრიდან მათზე ზეწოლა არ მოხდეს."**

ანონიმური სოციოლოგიური გამოკითხვა უკვე დამთავრდა თავდაცვის სამინისტროს მე-4 ბრიგადაში. რამდენიმე დღის წინათ "გორბ-გელაპ ჯორჯიას" სოციოლოგებმა გამოკითხვა გორის ნომერ პირველ სასწავლო ცენტრში ჩაატარეს. ორგანიზაციის დირექტორის მერაბ ფაჩულიას თქმით, ჯარისკაცებს უწევთ უპასუხონ 50 შეკითხვისაგან შემდგარ კითხვარს, რომელმაც უნდა დაადგინოს, თუ რამდენად არიან კმაყოფილნი ჯარისკაცები სამხედრო ნაწილში შექმნილი ვითარებით.

**"აქ არის კომპლექსი შეკითხვებისა - მათი ხედვით, რა პრობლემებია დღეს ქართულ ჯარში, რას გამოასწორებდნენ, რომ ჰქონოდათ ამის საშუალება; ჰიგიენური მდგომარეობის შეფასება; საკვების, ეკიპირების, ლაზარეთის ხარისხის შეფასება და ა.შ."** – ამბობს მერაბ ფაჩულია.

კითხვარში ცალკეა შეტანილი ხელქვეითების დამოკიდებულება მეთაურისადმი და ურთიერთობა უშუალოდ ჯარისკაცებს შორის. ამ კვლევის შედეგად მიღებული პასუხებით უნდა დადგინდეს, თუ სად არის ჩავარდნები დისციპლინის მხრივ, სად მოიკიდა ფეხი "ძველბიჭურმა" ტენდენციამ და ვის უნდა დაედოს დისციპლინური სასჯელი არაჯანსაღი ტრადიციების გავრცელების მცდელობისათვის. "გორბ - გელაპ ჯორჯიას" დირექტორის მერაბ ფაჩულიას თქმით, კითხვარი ისეა შედგენილი, რომ სამხედროებმა მაქსიმალურად გულწრფელად გამოხატონ თავიანთი აზრი. **"მაგრამ ანონიმურობის სრული დაცვის პირობებშიც კი არ არსებობს აბსოლუტური გარანტია, რომ ჯარისკაცები გულწრფელნი იქნებიან საკუთარი, თუნდაც დამნაშავე, თანამებრძოლების შეფასებაში,"** - აღნიშნავს მერაბ ფაჩულია.

ეს რომ ასეა, ამას ერთი ფაქტიც მოწმობს: სწორედ იმ პერიოდში, როდესაც სამხედრო მოსამსახურეები გორის სამხედრო ნაწილში კითხვარებს ავსებდნენ, ნაწილის მეთაურმა ჩაჩიბაიამ ქვედანაყოფიდან 50 სამხედრო დაითხოვა სამსახურიდან, ამბობს ასოციაციის - "სამართალი და თავისუფლება" - დირექტორი ირაკლი სესიაშვილი: **"სავარაუდოდ, ჩაჩიბაიას სურდა საკუთარი კადრები მოეყვანა. კოსოვოში და ერაყში უნდა წავიდნენ. ამიტომ ინტერესი აქვს, რომ სამხედრო ნაწილი მისი კადრებით დააკომპლექტოს. სამხედრო მოსამსახურეებს უთხრეს, თქვენი ნებით მიბრძანდითო. ორმოცმა კაცმა თავისი ნებით დაწერა განცხადება, ვინც არადა, დაუწერეს შეუფერებლობა და გაუშვეს."**

სამსახურიდან გათავისუფლებული ერთ-ერთი ოფიცრის, მერაბ ხითარიშვილის დედამ გვითხრა, რომ სიმართლის გასარკვევად საქართველოს პრეზიდენტამდე ჩასვლასაც არ მოერიდება: **"როგორც ბადრის გადმოცემით ვიცი, ორი კვირით იყო სახლში ჩამოსული შვებულებით. ჰოდა, ჩავიდა უკან და უთხრეს, დაწერილია განცხადება ბიჭების გათავისუფლებაზეო. არ ვიცი, რამდენი მოხსნეს. მართლა მიშამდე მივიდოდი... ექვსი წელი ისწავლა ბავშვმა, აკადემია დაამთავრა და ახლა ასე აწვალებენ სამსახურზე".**

აღმოჩნდა, რომ გორის სამხედრო ნაწილიდან სამხედრო მოსამსახურეების უკანონოდ გათავისუფლების შესახებ ინფორმაცია არა აქვს სამხედრო უწყებას, თუმცა ეს არც არის გასაკვირი: სამი კვირის წინ თავდაცვის აკადემიის სამხედრო აკადემიის რექტორმაც გაზეთიდან გაიგო, რომ გათავისუფლებულია თანამდებობიდან.

# სავალუტო ფონდის წარმომადგენელი ფოთში არსებულ ვითარებას გაეცნო

ქეთინო ჭაკობია
ფოთიდან

როგორ ვითარდება ბიზნესი საქართველოს რეგიონებში? როგორია დასაქმების მაჩვენებლები? რა უშლის ხელს საერთო ეკონომიკური ფონის გაუმჯობესებას? – ეს არის საკითხები, რომელთა შესწავლის მიზნით საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენელი რობერტ ქრისტიანსენი ქვეყნის ქალაქებსა და რაიონებს სტუმრობს. 6 აგვისტოს იგი ფოთში იმყოფებოდა.

სამხარეო და ქალაქის ადმინისტრაციის, ეროვნული ბანკის ფოთის ფილიალის ხელმძღვანელობასთან შეხვედრებმა რობერტ ქრისტიანსენისათვის მოულოდნელი ხასიათი მიიღო. მიუხედავად იმისა, რომ იგი პრობლემებზე, ბიზნესის განვითარების ხელისშემშლელ ფაქტორებზე საუბარს ითხოვდა, მასპინძლებმა, ასე ვთქვათ, "შემოდგომის აზნაურის" როლი მოირგეს და უკვე დაწყებული "აღმშენებლობის პროცესი" წარმოაჩინეს.

**"ბოლო პერიოდში ქალაქი ვითარდება, შენდება ეთერზეთების, თევზის გადამამუშავებელი ქარხნები, ამუშავდა წისქვილქარხანა, მიწისმწოვი დანადგარების ქარხანა, ამ დღეებში ამოქმედდება გემთსაშენი. დღეს, სხვა პერიოდთან შედარებით, მეტია პორტის მოგების მაჩვენებელი, თუმცა ეს არა ტვირთბრუნვის ზრდის, არამედ სწორი მენეჯმენტის ხარჯზე მოხდა. ერთი სიტყვით, აღორძინება დაწყებულია, და ვნახოთ, რა გამოგვივა. ბიზნესის განვითარებაში ხელისუფლების როლი ინფრასტრუქტურის განვითარებაში, დაცვის მექანიზმების ამოქმედებაში, ბიუროკრატიის აღმოფხვრაში გამოიხატება,"** – განაცხადა პრეზიდენტის რწმუნებულმა სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში ზაზა გოროზიამ.

**"სხვა რეგიონებში, პირიქით, ბიზნესის განვითარებისთვის ხელისშემშლელ გარემოზე მესაუბრნენ. ამიხსნეს, რომ ხელისუფლება უხეშად ერევა ბიზნესის საქმიანობაში, საგადასახადო, საბაჟო სისტემები მოუწესრიგებელია. ალბათ, ეს არის მიზეზი, რომ საერთაშორისო მაჩვენებლებით უცხოური ინვესტიციები საქართველოში ყველაზე ცოტაა. თქვენი მოსაზრებები სხვებისგან განსხვავებულია. ვერ გავიგე, როგორ არის ყველაფერი კარგად, როცა დასაქმების დონე ძალიან დაბალია?"** – იყო სავალუტო ფონდის წარმომადგენლის პასუხი.

ეროვნული ბანკის ფოთის ფილიალის მმართველის, რევაზ ხარჩილავას ინფორმაციით, სესხის სახით გაცემული 23 მილიონი ლარიდან 70 პროცენტი ვაჭრობა-მომსახურების სფეროზე მოდის, ანუ მოსახლეობა სხვა საქმის წამოწყებას ვაჭრობას ამჯობინებს. საბიუჯეტო ორგანიზაციებში, ნავსადგურისა და სხვა საწარმოებში დასაქმებული ხუთი ათასზე მეტი მოქალაქე კი ორმოცდაათი ათასამდე ფოთელისთვის ამინდს ვერ ქმნის.

**"ეკონომიკის განვითარება ნახტომისებურად არ ხდება. ჩვენთვის ამ ეტაპზე მთავარი - ქალაქის ინფრასტრუქტურაში წლობით დაგროვილი პრობლემების მოგვარებაა. ინვესტიციები ჯერ ცოტაა, მაგრამ გარკვეულ სფეროებში საქმე ადგილიდან დაიძრა. მთავრობა ბიზნესის განვითარებას კანონის ფარგლებში ეხმარება და, საერთოდ, მშვიდი გარემო, პოლიტიკური სტაბილურობა ჩვენი მხრიდან, ძირითად ხელშემწყობად მიმაჩნია,"** – აღნიშნა ფოთის მერმა ივანე საღინაძემ.

ხელისუფლების გარდა, სსფ-ს წარმომადგენელმა შეხვედრა ფოთის პორტის და რეგიონული საბაჟო "დასავლეთის" ხელმძღვანელობასთანაც გაიმართა.

**"პორტის საქმიანობის, ინვესტიციების, პოტენციალის შესახებ სავალუტო ფონდის წარმომადგენელს მივაწოდეთ დეტალური ინფორმაცია. კონკრეტული დაინტერესება ამ შემთხვევაში არ ყოფილა, მაგრამ, ვფიქრობ, მნიშვნელოვანია, სავალუტო ფონდი ფლობდეს მონაცემებს ფონდის ნავსადგურის განვითარების შესახებ,"** – განაცხადა ფოთის პორტის უფროსმა თემურ მიმინოშვილმა.

**"საინტერესო შეხვედრები მქონდა. გავეცანი ფაქტებს. ფოთს დიდი პოტენციალი აქვს, რაზეც გავლენას პორტი ახდენს. თუმცა, მის განვითარებასაც სჭირდება დრო და ხელისუფლების ძალისხმევა,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრისას რობერტ კრისტიანსენმა.

# იმპორტიორები საბაჟო დეპარტამენტის წინააღმდეგ

იმპორტიორთა ნაწილი საბაჟო დეპარტამენტს არაოფიციალური გადასახადების დაწესებაში ადანაშაულებს. გუშინ ტერმინალ "ოპიზასთან" იმპორტიორებმა აქცია გამართეს და საბაჟო დეპარტამენტისგან ადრე გადახდილი გადასახადების დაბრუნება მოითხოვეს. **"უკვე ერთი კვირაა, მებაჟეები არაოფიციალურად ერთი კუბური მეტრის მოცულობის საქონელზე 1000 ლარს გვთხოვენ. ეს არარეალური გადასახადია, თუ ყველაფერი ასე გაგრძელდა, ან იმპორტი მოკვდება საქართველოში, ან იმპორტირებული პროდუქციის ღირებულება რამდენჯერმე გაიზრდება,"** - აცხადებენ იმპორტიორები. მათივე თქმით, უკვე ერთი კვირაა, ისინი საბაჟო დეპარტამენტის ხელმძღვანელობასთან შეხვედრას ითხოვენ, თუმცა ჯერჯერობით მათ არავინ გამოხმაურებია.

თავის მხრივ, როგორც გუშინ საბაჟო დეპარტამენტში აცხადებდნენ, ტერმინალთან შეკრებილი იმპორტიორები არაკეთილსინდისიერი გადამხდელები არიან. დეპარტამენტის აპარატის უფროსის დავით ჩხატარაშვილის განცხადებით, საბაჟო დეპარტამენტს არანაირი 1000-ლარიანი გადასახადი არ დაუწესებია და ამ იმპორტიორებს ამ თანხას არც არაოფიციალურად სთხოვენ. როგორც ის განმარტავს, იმპორტიორებს, რომლებმაც გუშინ, აქცია გამართეს, დოკუმენტები წესრიგში არ აქვთ, სადაც საქონლის ფასები გაყალბებულად აქვთ დაფიქსირებული. ამ ეტაპზე, როგორც ჩხატარაშვილი აცხადებს, ფასების დადგენა ხდება, რომლის მიხედვითაც გადასახადების განბაჟება მოხდება. **"იმპორტიორებს, რომლებსაც საბუთები წესრიგში აქვთ, საბაჟოს მიმართ არანაირი პრეტენზიები არ გააჩნიათ და მათი ტვირთების განბაჟებაც დროულად ხდება. რაც შეეხება იმ იმპორტიორებს, რომლებსაც დოკუმენტაცია წესრიგში არა აქვთ და მათი ინვოისი გაყალბებულია, ხდება მათი ტვირთების ტერმინალში გაჩერება, საქონლის ფასების დადგენა, რომლის შემდეგად მოხდება აღნიშნული საქონლის განბაჟება. რა თქმა უნდა, ფასების დადგენის შემდეგ, განბაჟებული საქონლის ღირებულება უფრო ძვირი იქნება,"** - აცხადებს საბაჟო დეპარტამენტის აპარატის უფროსი.




რა დაჯდება ტვირთით სავსე ასეთი მანქანის განბაჟება, თუკი მებაჟეები ერთ კუბურ მეტრში 1000 ლარს ითხოვენ.

ინტერპრესნიუსი

*24 საათი*

## გახშირებული აფეთქებები თურქეთში

თურქეთის უდიდეს ქალაქში ერთ-ერთ ხუთსართულიან საცხოვრებელ სახლში გუშინ აფეთქება მოხდა, რის შედეგად დაიღუპა 2 და დაშავდა 6 ადამიანი.

თურქული ტელეკომპანია NTV იუწყება, რომ აფეთქება ადგილობრივი დროით 12 საათზე სტამბოლის ძველ უბანში განხორციელდა. აფეთქების სიმძლავრე იმდენად დიდი იყო, რომ თავად ეს შენობა სერიოზულად დაზიანდა, ახლომდებარე კორპუსებში კი ფანჯრებია ჩამსხვრეული. თურქი ექიმები აცხადებენ, რომ არ არის გამორიცხული, მსხვერპლის რიცხვი გაიზარდოს.

თავდაპირველად გავრცელდა ინფორმაცია, რომ აფეთქება გაზის ბალონმა გამოიწვია. თუმცა, მოგვიანებით სტამბოლის უშიშროების სამმართველოს უფროსმა ჯელიალეთინ ჯერაჰმა უარყო ეს ცნობა და განაცხადა, რომ "აფეთქების მიზეზი საყოფაცხოვრებო გაზის გაჟონვა არ ყოფილა".

პოლიციის მონაცემებით, საცხოვრებელ სახლში ინციდენტი ასაფეთქებელი მოწყობილობების დამზადების დროს მოხდა. შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილია ორი დაუდგენელი ვინაობის მამაკაცის გვამი.

ბოლო თვეებში თურქეთში ტერაქტები გახშირდა. ბოლო აფეთქება სტამბოლში წინა ოთხშაბათს მოხდა – ნაგვის კონტეინერში მოთავსებული ბომბის აფეთქებისას ორი ადამიანი დაიღუპა, ხოლო ოთხი დაშავდა.

აფეთქებების ხმა ტურისტული სეზონის დაწყებისთანავე ისმის თურქეთის საკურორტო ქალაქებშიც. გასულ კვირაში საკურორტო ქალაქ ანტალიაში ორი ასაფეთქებელი მოწყობილობა ამოქმედდა. შედეგად, ექვსი ადამიანი დაიჭრა. აღსანიშნავია, რომ მაშინაც ბომბები, ასევე, ნაგვის ყუთებში იყო დამონტაჟებული.

ბომბები ფეთქდებოდა გასულ თვეშიც. 16 ივლისს საკურორტო ქალაქ კუშადასში მომხდარ ტერაქტს 4 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, ხოლო 14 დაშავდა. დაჭრილთა შორის უცხოელი ტურისტებიც იყვნენ.

10 ივლისს კიდევ ერთ კურორტზე – ჩეშმში მოხდა აფეთქება. ეგეოსის ზღვის სანაპიროზე მომხდარი ტერაქტის შედეგად 21 ადამიანი დაშავდა.

ხელისუფლება, ბოლო ხანებში მომხდარი აფეთქებების გამო, ქურთ სეპარატისტებს ადანაშაულებს. თუმცა, მომხდარ ტერაქტებზე პასუხისმგებლობა დღემდე არავის უკისრია.

### ორი სიტყვით

**დიდი ბრიტანეთი.** ლონდონის ტერაქტების სერიასთან კავშირში ბრალდებული სამი პიროვნება გუშინ სასამართლოს წინაშე წარდგა. რამზი მოჰამედი, მუჰთარ საიდ იბრაჰიმი და იასინ ომარი 21 ივლისს დიდი ბრიტანეთის დედაქალაქში აფეთქებების განხორციელებაში არიან ეჭვმიტანილნი. მათ, მკვლელობის მიზნით, შეთქმულებაში, მკვლელობის მცდელობაში და ასაფეთქებელი ნივთიერებების შენახვაში ედებათ ბრალი.

მეოთხე ეჭვმიტანილი - ოსმან ჰუსეინი იტალიაშია დაპატიმრებული. დიდი ბრიტანეთის ხელისუფლება მის ექსტრადიციას მოითხოვს. ოთხივე ბრალდებულისთვის სასჯელის შესაძლო მაქსიმალური ზომა სამუდამო პატიმრობაა.

კვირას ზამბიის ხელისუფლებამ დიდ ბრიტანეთს გადასცა ჰარუნ ასვათი, რომელიც 7 ივლისის ტერაქტების მთავარ ორგანიზატორად ითვლება. ლონდონის მეტროში და ავტობუსში მომხდარი აფეთქებების შედეგად, ოფიციალური მონაცემებით, 52 ადამიანი დაიღუპა. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**გაერო.** უნივერსალური ორგანიზაციის გავლენიანი თანამშრომელი ბენონ სევანი, რომელიც ადრე ხელმძღვანელობდა ერაყისათვის განკუთვნილ ჰუმანიტარულ პროგრამას "ნავთობი სურსათის სანაცვლოდ", დაკავებული თანამდებობიდან გადადგა. დამოუკიდებელმა კომისიამ სევანი დამნაშავედ ცნო მიუტევებელ დარღვევებში, რამაც სერიოზული ზიანი მიაყენა გაერო-ს ავტორიტეტს. არსებობს ეჭვი, რომ ბენონ სევანი პროცენტებს ღებულობდა იმ კონტრაქტებიდან, რომლებსაც თავად კურირებდა. კვიპროსის მკვიდრი და გაერო-ს ერთ-ერთი ვეტერანი - სევანი კატეგორიულად უარყოფს მისდამი წაყენებულ ყველა ბრალდებას. **24 საათი**

■ ■ ■

**ახლო აღმოსავლეთი.** ისრაელის ფინანსთა მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ, ღაზას სექტორიდან ჯარების გაყვანისა და ებრაული დასახლებების ევაკუაციის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, მინისტრთა კაბინეტიდან გამოვიდა. გადადგომის შესახებ განცხადება ნეთანიაჰუმ პრემიერ-მინისტრ არიელ შარონს კვირას გადასცა მთავრობის სხდომაზე. მიუხედავად ამ დემარშისა, მთავრობამ მოიწონა ღაზას სექტორიდან გასვლის გეგმა. სხდომაზე არიელ შარონმა განაცხადა: "ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ ებრაულ დასახლებათა წარმატებული ევაკუაციისათვის, რომლის დაწყება მთავრობას 15 აგვისტოსთვის აქვს დაგეგმილი. ეს საპასუხისმგებლო და მძიმე ნაბიჯია, მაგრამ იგი ძალზე მნიშვნელოვანია ისრაელისთვის და უნდა განხორციელდეს იმ ვადების მკაცრი დაცვით, რომელიც მინისტრთა კაბინეტმა დაადგინა და პარლამენტმა მოიწონა". **რადიო თავისუფლება**

## საფოსტო კრიზისი იაპონიაში

პირველი გვერდიდან

პრემიერ-მინისტრმა კენჭისყრამდე არაერთხელ განაცხადა, რომ პარლამენტის მიერ ექვსი კანონპროექტისგან შემდგარი საკანონმდებლო ინიციატივის უარყოფა, ფაქტობრივად, მთავრობისადმი უნდობლობის გამოცხადების ტოლფასი იქნებოდა. საქმე ისაა, რომ 2001 წელს კოიძუმი ქვეყნის სათავეში სწორედ საფოსტო სამსახურის რეფორმირების პროგრამით მოვიდა.

ბუნებრივია, ფოსტა არ იქონიებდა ასეთ მკვეთრ გამოხმაურებას, იაპონელთა ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი რომ არ ეკავოს. Japan Post-ი ქვეყნის უდიდესი, სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი ორგანიზაციაა. მასში დასაქმებულია, დაახლოებით, 300 ათასი ადამიანი. ეს სამსახური, კორესპონდენციის დარიგების გარდა, სადაზღვევო საქმიანობასაც ითავსებს; შესაბამისად, უზარმაზარ ფინანსურ სახსრებს განაგებს. მიახლოებითი გათვლებით, საფოსტო სამსახურის შემნახველ სალაროებში 350 ტრილიონი იაპონური იენი (დაახლოებით, 3 ტრილიონი აშშ დოლარი) ინახება.

რასაკვირველია, რეფორმისადმი უნდობლობით არის განწყობილი ამ სფეროში დასაქმებულთა უმრავლესობა - რაც მთავარია, ფოსტის მუშაკებს სერიოზული პოლიტიკური ლობი უმაგრებს ზურგს.

პოლიტიკოსთა მხრიდან დაინტერესებას ის ფაქტი განაპირობებს, რომ ფოსტას არცთუ უმნიშვნელო პოლიტიკური დატვირთვაც აქვს. პროვინციებში ფოსტალიონი უზარმაზარი ავტორიტეტით სარგებლობს და ხშირად ამ გავლენას პოლიტპროპაგანდისთვისაც იყენებს. ალბათ, ამის გამოა, რომ პარლამენტარები მეტად ფრთხილად ეკიდებიან ფოსტის პრვარტიზაციის საკითხს. რასაკვირველია, არავის სურს ასეთი მძლავრი ბერკეტის დაკარგვა (როგორც ფინანსურის, ასევე, პოლიტიკურის) და მისი კერძო პირების ხელში ჩაგდება.

თავდაპირველად პარლამენტის ზედა პალატაში კანონპროექტზე კენჭისყრა პარასკევს იყო დანიშნული. თუმცა, ჩავარდნის შიშით იგი ორშაბათ დილისთვის გადაიტიანეს. მანამდე კანონპროექტი გაჭირვებით დაამტკიცა ქვედა პალატამ.

თითქოსდა პარლამენტის ზედა პალატას არ უნდა გასჭირვებოდა პრემიერ-მინისტრის შემოტანილი საკითხის გატანა - მმართველი პარტია ამ ორგანოშიც უმრავლესობას ფლობს, მაგრამ თავი იჩინა კოიძუმის ოპოზიციამ მმართველ ლიბერალ-დემოკრატიულ პარტიაში.

ჯერ კიდევ კენჭისყრამდე ცნობილი იყო, რომ კანონპროექტის წინააღმდეგ წავიდოდნენ როგორც ოპოზიციონერი დემოკრატები, ასევე - ლიბერალ-დემოკრატთა ნაწილი. გასარკვევი რჩებოდა მხოლოდ, თუ რამდენი თანაპარტიელი "უღალატებდა" კოიძუმის.

საბოლოო ჯამში, ფოსტის გაყიდვას მხარი დაუჭირა 108-მა დეპუტატმა, მაშინ, როცა მის წინააღმდეგ 125-მა მისცა ხმა, მათ შორის, 22 მმართველი პარტიის წარმომადგენელი იყო.

შექმნილ სიტუაციაში მომავალი არჩევნების შედეგების პროგნოზირება ძალიან რთულდება. თუ გავითვალისწინებთ, რომ მმართველი პარტიის პოპულარობა ეცემა, სავარაუდოდ, კოიძუმის პოზიციების შენარჩუნება გაუჭირდება. თუმცა, ყველაფერი მაინც იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორ წარიმართება მოვლენები პარტიის შიგნით. ცოტა ხნის წინ იაპონურ პრესაში გავრცელდა ხმები, რომ ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის ოპოზიცურად განწყობილი წევრები მის დატოვებას აპირებენ, რათა ახალი მოძრაობა ჩამოაყალიბონ.

ცხადია, კოიძუმი ძალიან დიდ რისკზე მიდის. მან, შეიძლება, ვეღარ გაიმარჯვოს არჩევნებში და პოსტის დატოვებამაც მოუწიოს. შეგახსენებთ, სწორედ ქვედა პალატის არჩევნებში გამარჯვებული პოლიტიკური გუნდი აკომპლექტებს მთავრობას. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ, გამარჯვების შემთხვევაში, იგი პარტიის მონოლითურობისა და რეფორმების კურსის შენარჩუნებას შეძლებს.

## ირანის ბირთვული რეაქტორი - გაერო-ს დამკვირვებელთა ყურადღების ცენტრში

პირველი გვერდიდან

გავრცელებული ინფორმაციით, ისფაჰანის ბირთვულ ცენტრში საერთაშორისო ატომური ენერგიის სააგენტოს მიერ დაულუქავი მოწყობილობა სააგენტოს ინსპექტორთა მეთვალყურეობის ქვეშ ამუშავდა, რომელიც "ყვითელ ფხვნილს" - ურანის შემდგომში გადამუშავებისთვის საჭირო შუალედურ მასალას დაამზადებს. უახლოეს ხანებში კი სააგენტოს ექსპერტები ლუქს მოხსნიან იმ მოწყობილობასაც, სადაც უშუალოდ ურანი იწარმოება.

ოფიციალური განცხადება ბირთვული ცენტრის ამოქმედების შესახებ კი ირანის ატომური ენერგიის ორგანიზაციის ხელმძღვანელის მოადგილემ, მოჰამად საედიმ გააკეთა.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ირანმა არაერთი გაფრთხილება ჯერ კიდევ ცენტრის ამოქმედებამდე მიიღო აშშ-საგანაც და ევროკავშირისაგანაც, რომლებიც ცენტრის ამოქმედებას მოლაპარაკებების ჩაშლად განიხილავენ. დასავლეთის განცხადებით, ირანის მიერ ამგვარი ნაბიჯის გადადგმას, შესაძლოა, გაერო-ს უშიშროების საბჭოს მხრიდან ეკონომიკური სანქციების დაწესება მოჰყოლოდა. თუმცა, როგორც ჩანს, ამან ირანს გადაწყვეტილება მაინც ვერ შეაცვლევინა. შექმნილ ვითარებაზე, რომელსაც საერთაშორისო ატომური ენერგიის სააგენტო გამოუვალ მდგომარეობად აფასებს, დღეს იმსჯელებენ. ამ შეხვედრის ინიციატორები დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და გერმანია არიან.



ევროპამ ირანს გადაწყვეტილება მაინც ვერ შეაცვლევინა.

დღევანდელი დისკუსიის შედეგად მომზადდება ანგარიში, იგივე ირანის "ბირთვული დოსიე", რომელიც გაერო-ს უშიშროების საბჭოს წარედგინება, რის შემდეგაც უკვე სანქციების დაწესების შესაძლებლობები განიხილება.

დაბოლოს, ევროკავშირის მიერ, რომელიც, უკვე 2 წელია, აქტიურად ცდილობს ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით კომპრომისი გამონახოს, ირანის მისამართით არაერთი წინადადება იყო გამოთქმული. ევროკავშირი, ურანის გამდიდრებაზე მუშაობის შეწყვეტის სანაცვლოდ, ოფიციალურ თეირანს სავაჭრო ურთიერთობების გაზრდასა და ენერგოწყაროების ალტერნატივის გამოძებნაში დახმარებას ჰპირდებოდა; თანაც, ირანს შესაძლებლობა ექნებოდა, ბირთვულ სფეროში საქმიანობა მხოლოდ და მხოლოდ სამშვიდობო მიზნებით გაეგრძელებინა და საბოლოოდ ეთქვა უარი მსუბუქი წყლის გამომუშავებაზე.

*24 საათი*

## ბულგარეთს პოლიტიკური კრიზისი ევროკავშირში გაწევრიანებაში უშლის ხელს

"ბულგარეთში შექმნილმა პოლიტიკურმა კრიზისმა ამ ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივა, შესაძლოა, ერთი წლით გადაავადოს. დღემდე ევროპულ ოჯახში ბულგარეთის ინტეგრაციის თარიღად 2007 წლის 1 იანვარი სახელდებოდა, რაც, სავარაუდოდ, შეიცვლება", - წერს ბულგარული გაზეთი "ლიბრ ბელჟიკი".

ზემოაღნიშნული გაზეთის პროგნოზისაგან შორს არ დგანან არც ევროპელი ანალიტიკოსები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ამ ვითარებაში ბულგარეთს მართლაც გაუჭირდება იმ ვალდებულებების შესრულება, რაც აუცილებელია ევროკავშირში გაწევრიანებისათვის.

ევროკომისიამ ბულგარეთს სწორედ 2007 წლის 1 იანვრამდე მისცა ვადა, განეხორციელებინა სასამართლო სისტემის რეფორმა.

კონკრეტულად, გადავადების ალბათობის მიზეზს რაც შეეხება, უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკური კრიზისი ამ ქვეყანაში მას შემდეგ შეიქმნა, რაც ბულგარეთის პარლამენტმა უნდობლობა გამოუცხადა მმართველ კოალიციას, რომელიც მიმდინარე წლის ივნისის არჩევნებში გამარჯვების შემდეგ შეიქმნა. ადგილობრივი კანონმდებლობის თანახმად, ახლა უკვე უნდა მოხდეს არჩევნებში დამარცხებული მემარჯვენე-ცენტრისტული ნაციონალური მოძრაობისაგან კაბინეტის ფორმირება, რომელსაც სათავეში ყოფილი პრემიერ-მინისტრი სიმეონ საქსობურგოტსკი ჩაუდგება.


## საქართველოს პარლამენტის აპარატის განცხადება

საქართველოს პარლამენტის აპარატი აცხადებს კონკურსს საქართველოს პარლამენტის შენობაში განთავსებული სასადილოს და ბუფეტების მეშვეობით საქართველოს პარლამენტის წევრებისა და აპარატის თანამშრომლების კვებით მომსახურეობაზე.

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, რომელსაც გააჩნია შესაბამისი სამუშაო გამოცდილება.

დაინტერესებულ პირებს უფლება აქვთ ადგილზე გაეცნონ სასადილოს და ბუფეტების ამჟამინდელ მდგომარეობას და მიიღონ საჭირო დამატებითი ინფორმაცია.

კონკურსში მონაწილე პირებმა განაცხადი და წინადადება (საჭიროების შემთხვევაში დამატებითი მასალები) უნდა წარმოადგინონ 12 სექტემბრის 12[00]-სთ-მდე.

დალუქული კონვერტები გაიხსნება 12 სექტემბერს 12[00]-სთ-ზე დასწრების მსურველი მონაწილეების თანდასწრებით.

კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შემთხვევაში, მიღებული გადაწყვეტილება გამარჯვებულს ეცნობება ხუთი დღის ვადაში.

კონკურსში გამარჯვებულთან ხელშეკრულება გაფორმდება აღნიშნული ობიექტების სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების დასრულების შემდეგ.

კონკურსში გამარჯვებულმა მომსახურების მიწოდება უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი წლის განმავლობაში.

კონკურსში მონაწილეებს ნამუშევრები (გარდა გამარჯვებულისა) უკან დაუბრუნდებათ გამარჯვებულის გამოვლენიდან შვიდი დღის განმავლობაში.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ: ზაურ ჯიოშვილი 93-25-09



## საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სატენდერო კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად, საავტომობილო საწვავის სახელმწიფო შესყიდვის ღია ტენდერში გაიმარჯვა და შესაბამისი ხელშეკრულება გაფორმდა შპს "ლუკოილ ჯორჯია"-სთან.

*სატენდერო კომისია*



## განცხადება
### საკონსულტაციო მომსახურეობის შესყიდვის შესახებ

საქართველოს მთავრობის კანცელარია, საქართველოს საინსტიტუციო მშენებლობის განვითარების პროექტების განმახორციელებელი რგოლი სტრუქტურული რეფორმების მხარდაჭერის პროექტი
კრედიტი N 3264 GE **GE**

საქართველოს მთავრობის კანცელარია და საქართველოს საინსტიტუციო მშენებლობის განვითარების პროექტების განმახორციელებელი რგოლი, სტრუქტურული რეფორმების მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში, იწვევს გამოცდილ ადგილობრივ ინფორმაციული ტექნოლოგიების ინჟინერს/ ინფორმაციული ტექნოლოგიების საინჟინერინგო ფირმებს, მთავრობის კანცელარიის (მდებარე ქ. თბილისში, ინგოროყვას ქუჩა N7-ში) ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვისა და განახლების სტრატეგიული მიზნების და გეგმის, და მათი განხორციელებისათვის აუცილებელი დეტალური პროექტის შესამუშავებლად.

ინფორმაციული ტექნოლოგიების ინჟინერმა/ ინფორმაციული ტექნოლოგიების საინჟინერინგო ფირმამ უნდა განახორციელოს შემდეგი სამუშაოები:

შეიმუშაოს მომავალი 4(ოთხი) წლის პერიოდისათვის ინფორმაციული ტექნოლოგიების სტრატეგია, კომპიუტერული ქსელის ფუნქციონალური და არქიტექტურული დიზაინი;

ინფორმაციული ტექნოლოგიების სტრატეგიის შემუშავების დროს გაითვალისწინოს "ამერიკის გაერთიანებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო"-ს (USAID) კონტრაქტორის მიერ უკვე განხორციელებული სამუშაოები;

შემუშავებული ინფორმაციული ტექნოლოგიების სტრატეგიის საფუძველზე მოამზადოს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის განახლების ერთწლიანი პროექტ-გეგმა, არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით. გეგმა უნდა შეიცავდეს ძირითად ამოცანებს და ამ ამოცანების შესრულებით მიღებული შედეგების აღწერას, შესაძენი ტექნიკის და პროგრამული უზრუნველყოფის ტექნიკურ სპეციფიკაციებს, აუცილებელი ტექნიკური პერსონალის რაოდენობას და კვალიფიკაციას. აღჭურვილობის შეძენის კალენდარულ გეგმას და ა.შ

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

1. მინიმუმ 3(სამი) წლის გამოცდილება შესაბამის დარგში;
2. მინიმუმ 3(სამი) მსგავსი ტიპის განხორციელებული პროექტი;
3. ინდივიდუალური კონსულტანტის ან ფირმის ძირითადი პერსონალის, გამოცდილება შესაბამის დარგში;
4. გამოცდილება ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების სტრატეგიაში;
5. პროექტის მართვის გამოცდილება
6. მინიმუმ 2(ორი) წლის გამოცდილება ინფორმაციული ტექნოლოგიების ბიზნესში, ინფორმაციული ტექნოლოგიების დიაგნოსტიკა საჯარო და კერძო ორგანიზაციებისათვის, ინფორმაციული ტექნოლოგიების სისტემებისათვის შესაბამისი ტექნიკური მოთხოვნების შექმნა.

სამუშაოების ხანგრძლივობა 2 (ორი) თვე.

ადგილობრივი ინდივიდუალური კონსულტანტი ან საკონსულტაციო ფირმა შერჩეული იქნება მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებული სახელმძღვანელოს მიხედვით: დაქირავებულ კონსულტანტთა შერჩევა და სამუშაოზე აყვანა მსოფლიო ბანკის მსესხებლის მიერ " შერჩევა კონსულტანტის კვალიფიკაციაზე დაყრდნობით", 1997 წლის იანვარი(შესწორება -1997წ სექტემბერი, 1999წ იანვარი).

რამდენადაც კანდიდატთა შეფასება მოხდება ფირმის კვალიფიკაციის მიხედვით, ინტერესის არსებობის შემთხვევაში კონკურსში მონაწილეობის განცხადებასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნეს:

1. მოკლე ინფორმაცია ინდივიდუალური კონსულტანტის ან ფირმის შესახებ;
2. მსგავსი განხორციელებული პროექტების ჩამონათვალი, მოკლე აღწერა და საილუსტრაციო მასალები (ბუკლეტები, ფოტოები და ა.შ.)
3. ინფორმაცია ინდივიდუალური კონსულტანტის ან ფირმის ძირითადი პერსონალის შესახებ (კვალიფიკაციისა და გამოცდილების აღწერილობა- CVs).

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე შეირჩევა საუკეთესო კვალიფიკაციის მქონე ინდივიდუალური კონსულტანტი ან ფირმა.

დაინტერესებულმა ფირმებმა განცხადებები უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 23 აგვისტოს 17 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი ალ. ყაზბეგის გამზ. N42, მე-5 სართული, ოთახი N501, საქართველოს საინსტიტუციო მშენებლობის განვითარების პროექტების განმახორციელებელი რგოლი. ტელ: 95 08 65, 95 52 68 ფაქსი: 24 13 64

# „თუ სადმე ახლოს მეგულებოდა, ვერ ვიძინებდი”

### ყველაზე პოპულარული კაცი ამერიკული ტელეეკრანიდან

გარდაცვლილი კოლეგის მოწიწებით გახსენება ის ეტიკეტია, რომელსაც ყველა შეგნებული კოლეგა იცავს. პიტერ ჯენინგსი – “ეი ბი სი”-ს სახე – გუშინ ინტერნეტ გამოცემებისა და ტელევიზიის მთავარ ბლოკებში მხოლოდ ამ ეტიკეტის გამო არ მოხვედრილა. მისმა გარდაცვალებამ მთელი მსოფლიო მედია გულწრფელად დაამწუხრა.

პიტერ ჯენინგსი – ჟურნალისტი, რომელიც ამერიკელ ოჯახებს ტელეეკრანიდან 50 წლის განმავლობაში ყოველ საღამოს სტუმრობდა და თავშეკავებული ღიმილით, გულითადი მზერით და მშვიდი ტონით აწვდიდა დღის მთავარ ამბებს, 67 წლის ასაკში გარდაიცვალა.

მან მაყურებელს აპრილში თვითონ განუცხადა, რომ სიმსივნით იყო ავად. კვირას კი, ფილტვის სიმსივნით თავის ნიუ იორკულ სახლში, ოჯახურ გარემოში გარდაიცვალა.

“ეი ბი სი”-ს საინფორმაციო განყოფილების პრეზიდენტი დევიდ უესტინი ამ სამწუხარო ამბავს ასე გამოეხმაურა: “პიტერი იყო ჩვენი კოლეგა, ჩვენი მეგობარი და ჩვენი ლიდერიც. ის თითოეულ ჩვენგანს დააკლდება”.

პიტერ ჯენინგსი ტომ ბროქოუსთან და დენ რათერთან ერთად იმ ტრიუმვირატის წევრი იყო, რომელიც საინფორმაციო გამოშვებებს მთელი ოცი წლის განმავლობაში ლიდერობდა. მშვიდი ტონი და საერთაშორისო ამბების გაშუქების მრავალწლიანი გამოცდილება ჯენინგსს მრავალი სხვა წამყვანისგან გამოარჩევდა.

“პიტერი ტელეწამყვანად იყო დაბადებული. ჩვენ სამს შორის, ის ნამდვილი პრინცი იყო. მას დრო ვერაფერს აკლებდა. ექსკლუზიური სტილი ჰქონდა და არავის ჰგავდა”, - იხსენებს კოლეგას ბროქოუ – “ენ ბი სი”-ს გადაცემა “თუდეის” წამყვანი. მათ ერთმანეთი 1966 წელს გაიცნეს. ბროქოუ და ჯენინგსი ერთად აშუქებდნენ რონალდ რეიგანის კამპანიას კალიფორნიის გუბერნატორის პოსტზე გამოცხადებულ არჩევნებზე. მუშაობდნენ სხვადასხვა არხებისთვის, მაგრამ მაშინვე დამეგობრდნენ.



პიტერ ჯენინგსი.




“ტრიუმვირატის” მესამე წევრმა დენ რათერმა “ეი ბი სი”-ს გადაცემა “დილა მშვიდობისა, ამერიკა”-შიც მიიღო მონაწილეობა და ჯენინგსზე ბევრი რამ გაიხსენა. რათერმა გულწრფელად თქვა, რომ მეგობრული და გულითადი აურის მიუხედავად, ჯენინგსი შინაგანად ძალიან ძლიერი კონკურენტი იყო. “თუ პიტერი სადმე ახლოს იყო, არ მეძინა”, - დასძინა რათერმა.

და მართლაც, პიტერ ჯენინგსი აშუქებდა ყველა უმნიშვნელოვანეს ამბავს – ამინდით დაწყებული, ომით დამთავრებული. 2001 წლის 11 სექტემბრის კვირას ის 60-ზე მეტი საათის განმავლობაში ერთვებოდა პირდაპირ ეთერში და თავისი უცვლელი სავიზიტო ბარათით – მშვიდი ტონით სასწაულს ახერხებდა – დაზაფრულ ამერიკელებს როგორღაც ამშვიდებდა. თუმცა, ეს მისი აკვიატებული თვითმიზანი არასდროს გამხდარა. სიმშვიდე სიყალბეში არასდროს გადაზრდილა. დასტურად, ერთხელ მწერალ ჯეფ ალენს უთხრა კიდეც: “ბევრი ადამიანი ფიქრობს, რომ ჩვენი ვალია, ყოველ ღამეს, მაყურებლის წინაშე წარდგომისას მათ ვუთხრათ – დამშვიდდით, თქვენ ოჯახს, თქვენს ქალაქს, თქვენს ქვეყანას საფრთხე არ ემუქრება. მე ასე არ ვფიქრობ. ჩემი რეცეპტი ასეთია – ადამიანებს ისტორიის ყოველდღიური ჩანაწერი უნდა დაუტოვო – ხანდახან ის დადებითი იქნება, ხანდახან – დამზაფვრელი”.

მისი პოპულარობა ამერიკული ტრადიციისამებრ რეიტინგებითაც მტკიცდებოდა – 1980-იანი წლების ბოლოდან 1990-იანი წლების შუა ხანებამდე ჯენინგსი რეიტინგების უცვლელი ლიდერი იყო, შემდეგ უკვე მას კონკურენტად ბროქოუ გამოუჩნდა.

ამერიკული ტელევიზიის ასევე ცნობილი ქალბატონი ბარბარა უოლტერსი კოლეგას ასე ახასიათებს: “არავის არ შეეძლო იმდენი იმპროვიზაცია, რამდენიც პიტერს. ხანდახან მაგიჟებდა კიდეც, ყველა დეტალი იცოდა... ძალიან ახალგაზრდა გარდაიცვალა”.

გარდაცვალების მიზეზი, როგორც მოგახსენეთ, ფილტვის სიმსივნე იყო. ის ძალიან ბევრ სიგარეტს ეწეოდა, მაგრამ მაყურებელზე ამ საშინელმა ახალმა ამბავმა აპრილში მაინც შოკივით იმოქმედა. “მე გავაგრძელებ საინფორმაციო გადაცემის წაყვანას”, - თქვა მან იმ დღეს ხრინწიანი ხმით და იქვე დასძინა – “კარგ დღეებში, ჩემი ხმით ასე არ შეგაწუხებთ”.

პიტერ ჯენინგსი 2003 წლამდე კანადის მოქალაქე იყო. მამა, ჩარლზ ჯენინგსი კი გახლდათ კაცი, რომელმაც კანადაში საღამოს საინფორმაციო გადაცემა პირველმა წაიყვანა. შემდეგ ის კანადის სამაუწყებლო კორპორაციის საინფორმაციო განყოფილების ხელმძღვანელი გახდა. შესაბამისად, ჩარლზ ჯენინგსი შვილისთვის ნამდვილ კერპად იქცა. პიტერს “ეი ბი სი”-ს ოფისშიც მამის სურათი გამოსაჩენ ადგილას ედო.

პიტერი მამის პროფესიით ადრეულ ასაკშივე დაინტერესდა. 9 წლის იყო, როცა ოტავას რადიოეთერით გადაცემა წაიყვანა. მას არც საშუალო სკოლა დაუმთავრებია და არც კოლეჯი. პირდაპირ რეპორტიორობა დაიწყო და ონტარიოს ერთ-ერთ რადიოსადგურში ამზადებდა ახალ ამბებს. როგორც ჩანს, ტალანტი ახალგაზრდა ჯენინგს მაშინვე შენიშნეს და კანადის ტელევიზიაში წამყვანის ადგილი მალევე დაუთმეს.

1964 წელი მისი კარიერისთვის გადამწყვეტი აღმოჩნდა. დემოკრატების ნაციონალური კონვენციის გასაშუქებლად ამერიკაში ჩასული ჯენინგსი – ახალგაზრდა, სიმპათიური, ენთუზიაზმით სავსე რეპორტიორი – “ეი ბი სი”-ს საინფორმაციო გადაცემის პრეზიდენტმა შენიშნა და თავის არხზე მიიწვია. ჯენინგსმა წინადადება უყოყმანოდ მიიღო და მშობლიური კანადიდან ნიუ იორკში გადასახლდა.

მისი დებიუტი საღამოს საინფორმაციო გამოშვებაში 1965 წლის 1 თებერვალს შედგა. ჯენინგსი სულ 26 წლის იყო. ის იხსენებდა: “ცოტა უცნაური გრძნობა მეუფლება, როცა ამ დღის აღდგენას ვცდილობ მეხსიერებაში. წარმოიდგინეთ, 26 წლის ბიჭი, რომელიც ისეთ დიდ პროფესიონალებთან გაჯიბრებას ცდილობს, როგორებიც ქრონქაითი, ჰანთლი და ბრინქლი იყვნენ. მე ხომ უბრალოდ არაკვალიფიცირებული გახლდით”.

და ეს ახალგაზრდა თავხედი ყმაწვილი არც კრიტიკოსებმა დაინდეს. ჯენინგსი მორიგ ლამაზ სახედ მონათლეს და კანადური აქცენტიც დაუწუნეს. თუმცა, კრიტიკას სასოწრაკვეთილება არ გამოუწვევია. ჯენინგსმა სიმშვიდე შეინარჩუნა, გამოიყენა წინსვლის შანსი და “ეი ბი სი”-ს უცხოეთზე აკრედიტებული ჟურნალისტი გახდა. მან გახსნა “ეი ბი სი”-ს საინფორმაციო განყოფილების პირველი ბიურო ბეირუთში და ახლო აღმოსავლეთის საკითხებში ექსპერტის წოდებაც მოიპოვა.

1972 წელს, მიუნხენის ცნობილი ოლიმპიური თამაშების დროსაც ჯენინგსის მოხერხებულობაზე ბევრი ჟურნალისტი ლაპარაკობდა. მან საუკეთესო, ყველაზე გამომსახველი კადრები მოიპოვა არაბი ტერორისტების ტერორისტული ოპერაციის დროს. ის თავის გადამღებ ჯგუფთან ერთად სპორტსმენების ოთახში დაიმალა, რათა მსხვილი პლანით ედევნებინა განვითარებული მოვლენებისთვის თვალი...

ზევით ტრიუმვირატი ვახსენეთ, დანარჩენი ორი წევრისგან კი ჯენინგსი კიდევ ერთი თვისებით გამოირჩეოდა – ის მხოლოდ სტუდიაში თავს კომფორტულად ვერასდროს გრძნობდა. მას მოძრაობა უყვარდა, გამუდმებით მოგზაურობდა და უცხოურ ამბებს შემთხვევის ადგილიდან აშუქებდა. ამიტომ მაყურებელმა მაშინვე შენიშნა ის ფაქტი, რომ აზიური ცუნამის დროს ჯენინგსი ტრაგედიის ადგილზე არ აღმოჩნდა – ეს სიმსივნის გამოვლინებამდე ოთხი თვით ადრე მოხდა...

პიტერ ჯენინგს ჰყავს ცოლი ქეისი ფრიდი და ორი შვილი – 25 წლის ელიზაბეტი და 23 წლის კრისტოფერი.

მისი ჯილდოებია:

14 მთავარი სატელევიზიო ჯილდო “ემი”, ჯორჯ ფოსტერ პიბოდის 2 პრიზი, ალფრედ დიუპონი-ქოლამბიის უნივერსიტეტის რამდენიმე ჯილდო და უცხოური პრესკლუბების ჯილდოები.

# ბობ დილანმა მსოფლიო საბოლოოდ შეცვალა

ბობ დილანის სიმღერა Like a Rolling Stone, რომელიც მან 1965 წელს ჩაწერა, იმ ნაწარმოებების ათეულს ლიდერობს, რომლებმაც მსოფლიო გემოვნება რადიკალურად შეცვალეს. ბრიტანულმა ჟურნალმა Uncut-მა ყველაზე გავლენიან მუსიკოსებს, რეჟისორებსა და მსახიობებს შორის გამოკითხვა ჩაატარა. მათ 100 უმთავრესი სიმღერის, წიგნის და ფილმის დასახელება ევალებოდათ. ამერიკელი მუსიკოსის ბობ დილანის ცნობილი კომპოზიცია ალბომიდან Highway 61 Revisited გამოკითხულთა შორის ყველაზე ხშირად მოიხსენიებოდა.



“პანკის დედამ” პატი სმიტმა, გამოკითხვის ერთ-ერთმა მონაწილემ აღნიშნა, რომ ბობ დილანის სიმღერა მას “მოზარდობის ასაკის გადალახვაში” დაეხმარა. პოლ მაკარტნიმ უპირატესობა ელვის პრესლის Heartbreak Hotel-ს მიანიჭა, რომელიც Uncut-ის რეიტინგში მეორე ნომრად გვევლინება. მისი თქმით, “ელვისი მას ისე მღერის, თითქოს ხმა ჯოჯოხეთის სიღრმიდან მოდიოდეს”.

Uncut-ის გამოკითხულთა შორის ფიგურირებდნენ პოლ მაკარტნი, ედუარდ ნორტონი, რობერტ დაუნი-უმცროსი, ნოელ გალაჰერი, ლუ რიდი და სხვა ცნობილი სახეები.

"ბითლზი" და "როლინგსტოუნზი" ათეულში “She Loves You” და “I Can't Get No”-ით წარდგნენ. დევიდ ბოუი და "სექს პისტოლზი" ალბომებით – “The Rise and Fall of Ziggy Stardust” და “Never Mind the Bollocks”.

ყველაზე მთავარ კინოფილმებად სტენლი კუბრიკის “მექანიკური ფორთოხალი”, ფრენსის ფორდ კოპოლას “ნათლიას” პირველი ორი ნაწილი და მარტინ სკორსეზეს “ტაქსისტი” აღიარეს. ათეულში მოხვდა ბრიტანული ფილმი “პატიმარიც”.

ოცეულში მხოლოდ ერთი წიგნი – ჯეკ კერუაკის რომანი “გზაზე” მოხვდა.

Uncut-ის ათეული ასე გამოიყურება:

ბობ დილანი: Like a Rolling Stone

ელვის პრესლი: Heartbreak Hotel

"ბითლზი": She Loves You

"როლინგსტოუნზი": (I Can't Get No) Satisfaction

სტენლი კუბრიკი: "მექანიკური ფორთოხალი"

ფრენსის ფორდ კოპოლა: "ნათლია" და "ნათლია II"

დევიდ ბოუი: The Rise and Fall of Ziggy Stardust

მარტინ სკორსეზე: "ტაქსისტი"

"სექს პისტოლზი": Never Mind The Bollocks Here's the Sex Pistols

"პატიმარი"

## ახალი პრემია

ახალბედა ამერიკულ ლიტერატურულ პრემიას Quills-ს (“ბატის ფრთა”) უკვე ნახევარფინალისტები ჰყავს. მეორე ეტაპზე ჯეი.ქეი. როულინგი, ნიკ ჰორნბი, სტივენ კინგი და ბობ დილანი გავიდნენ. წესის მიხედვით, ისინი ათასობით ბიბლიოთეკარისა და წიგნის გამყიდველის გემოვნებით შეარჩიეს. ერთადერთი კრიტერიუმი იყო ის, რომ წიგნი ბესტსელერების ნუსხიდან უნდა ყოფილიყო. მკითხველისვე გემოვნებით გამოავლენენ საბოლოო გამარჯვებულს ოქტომბერში.

კითხვა არ უნდა იმას, რომ როულინგი პრემიაზე “ჰარი პოტერის” უახლესი წიგნით არის წარდგენილი, ნიკ ჰორნბი რომანისთვის “გრძელი გზა ქვევით”. მხატვრული ნაწარმოების კატეგორიაში ნახევარფინალისტები არიან ფილიპ როტი (“შეთქმულება ამერიკის წინააღმდეგ”) და მერილინ რობინსონი (პულიცერის პრიზით აღნიშნული ტექსტით Gilead). ბობ დილანი თავისი გახმაურებული მემუარებით “ქრონიკები წიგნი პირველი” საუკეთესო ბიოგრაფიის ნომინაციაში ლიდერობს.

როგორც პრემიის ორგანიზატორები ამტკიცებენ, Quills- სი ყველა სხვა ლიტერატურულ ჯილდოსთან შედარებით უფრო პრესტიჟული და სერიოზულია. ის 19 კატეგორიას აერთიანებს ჩვეულებრივი რომანებიდან გრაფიკული ნოველების ჩათვლით. ცალკეა გამოყოფილი სპორტული, საბავშვო თემატიკები, კატეგორია საუკეთესო დებიუტი პროზაშიც – თითოეული ხუთი ნომინაციით. რაც მთავარია, გათვალისწინებულია მკითხველის არჩევანიც. მათ ხმა საყვარელ წიგნს 15 აგვისტოდან 15 სექტემბრის ჩათვლით უნდა მისცენ.

დაჯილდოების ცერემონიალს ტელეარხი “ენ ბი სი” 22 ოქტომბერს გადასცემს. “ენ ბი სი”-ს პრეზიდენტი ჯეი აირლენდი ამბობს: “ეს იქნება პირველი ლიტერატურული პრემიისადმი მიძღვნილი პროგრამა, რომელიც მომხმარებლის, მკითხველის არჩევანს ითვალისწინებს”. ცერემონიალზე დასწრება ფასიანი იქნება. გაყიდული ბილეთებიდან შესული თანხის ნაწილი ლიტერატურული პროექტების დაფინანსებას მოხმარდება.








*მოკლედ*

## ლუშებურგომ იცის, თუ რას წარმოადგენს რობინიო

ბრაზილიელი რობინიო დარწმუნებულია, რომ ესპანეთის ჩემპიონატშიც ისეთივე წარმატებით ითამაშებს, როგორც ბრაზილიაში.

"ყოველთვის ვოცნებობდი ევროპაში თამაშზე. ამასთან ესპანეთის ჩემპიონატის სტილიც მეტ-ნაკლებად ახლოსაა ბრაზილიასთან.

საკმაოდ სპეციფიკური ტექნიკა მაქვს და ლუშემბურგოც ყოველთვის ზუსტად იყენებდა ჩემს შესაძლებლობებს. "რეალის" მწვრთნელმა იცის, თუ რას წარმოვადგენ. 2004 წელს ერთად მოგვიგია ბრაზილიის ჩემპიონატი. დარწმუნებული ვარ ესპანეთის ჩემპიონატსაც ერთად მოვიგებთ".

## ზიდანი კოტ დ`იუარმა დააბრუნა

მადრიდის "რეალის" ნახევარმცველი ზინედინ ზიდანი, რომელმაც ახლახანს ნაკრებში დაბრუნება გადაწყვიტა, ეროვნულ გუნდს კოტ დ`იუართან ამხანაგურ შეხვედრაში კაპიტნის რანგში წარუძღვება. "როიტერის" ცნობით, ამის შესახებ გუშინ საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელმა რაიმონ დომენეკმა განაცხადა.

"ნაკრების კაპიტანი ზიდანი იქნება, - აცხადებს დომენეკი. – მოხარული ვარ, რომ გუნდში დაბრუნება გადაწყვიტა".

ზიდანის არ იყოს, გუნდში ბრუნდება "იუვენტუსის" ფრანგი მცველი ლილიან ტურამიც. მოგეხსენებათ, ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალურ მატჩში საბერძნეთის ნაკრებთან წაგების შემდეგ ტურამმა გუნდიდან წასვლა ისურვა.

## NBA ლას ვეგასში შედის

ირკვევა, რომ 2007 წელს ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის "ყველა ვარსკვლავთა მატჩს" სათამაშო ბიზნესის დედაქალაქი ლას ვეგასი უმასპინძლებს. აღსანიშნავი კი ისაა, რომ პირველად საკალათბურთო ასოციაციის ისტორიაში შესაბამის ღონისძიებას უმასპინძლებს ქალაქი, რომელიც საკუთარი გუნდით არაა წარმოდგენილი ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში. ლიგის კომისარმა დევიდ შტერნმა მოვლენას "საკალათბურთო სამყაროს გართობის მსოფლიო დედაქალათან შერწყმა" უწოდა და იქვე დასძინა, რომ ყოველივე კალათბურთის იმიჯზე არანაირ უარყოფით გავლენას არ იქონიებს. საქმე ისაა, რომ ერთნი შიშობენ NBA-ის "ცოდვებისა და აზარტული თამაშების ქალაქთან" დაკავშირება კალათბურთს გაუტეხავს სახელსო.

## "ნიუკასლი" 16,5 მილიონად ოუენისთვის იბრძვის

ინგლისური "ნიუკასლის" ხელმძღვანელობა მზადაა, მადრიდის "რეალის" ინგლისელ თავდამსხმელ მაიკლ ოუენში 16,5 მილიონი ევრო გაიღოს. ინგლისურ საინფორმაციო წყაროებზე დაყრდნობით, სამეფო კლუბთან მოლაპარაკებების მაგიდას "ნიუკასლის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე ფრედი შეფერდი მიუჯდება.

## "მანიუმ" ფერდინანდი ოთხი წლით დაიტოვა

"მანჩესტერ იუნაიტედის" ხელმძღვანელობა მზად იყო გუნდიდან რიო ფერდინანდი გაეშვა, თუკი ეს უკანასკნელი კლუბთან კონტრაქტის გაგრძელებაზე უარს იტყოდა, მაგრამ...

გუშინ, მიუხედავად იმისა, რომ "მანიუს" მცველს კლუბის გულშემატკივრებთან დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა, რაც იმავდროულად მწვრთნელის ალექს ფერგიუსონის უკმაყოფილებასაც იწვევდა, გუნდთან ოთხწლიან ხელშეკრულებაზე მოაწერა ხელი.

## მაურინიო სუპერთასს დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს

ლონდონის "ჩელსის" პორტუგალიელი მწვრთნელი, ჟოზე მაურინიო, რომელმაც კვირას ინგლისის სუპერთასზე "არსენალი" 2:1 დაამარცხა, შესაბამის წარმატებას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს.

"გამარჯვება ყოველთვის სასიამოვნოა. მოვიგეთ ჯილდო, ჩვენი გულშემატკივრები კი დადებითი ემოციებით დაიმუხტნენ. თუმცა, სეხვედრის შედეგს არანაირი კავშირი არ აქვს იმასთან, თუ როგორ განვითარდება მოვლენები ჩემპიონატში. შეუძლებელია ყველა იმ ტურნირის მოგება, რომელშიც მონაწილეობ. ასეთია თანამედროვე ფეხბურთის რეალობა. მიუხედავად ამისა, მტკიცედ გვაქვს განზრახული შარშანდელი წარმატებები გავიმეოროთ. ახლა კი იმით ვარ კმაყოფილი, რომ ჩემი გუნდი ჩემპიონატის წინ კარგ ფორმაშია".

რაც შეეხება სუპერთასის მატჩს, მისი კომენტირებისას მაურინიომ სწრაფი გოლის მნიშვნელობა აღნიშნა, რომელიც "ჩელსიმ" პირველი ტაიმის მერვე წუთზე გაიტანა. ასევე საქებარი სიტყვები არ დაიშურა დიდიე დროგბას მისამართით, რომელმაც "არსენალთან" დუბლით გამოიჩინა თავი.

"პირველივე ბურთის შემდეგ მეტოქემ საკუთარი ძალების რწმენა დაკარგა. კარგი იყო დიდიე, მაგრამ მას უკეთ თამაშიც შეუძლია. მგონია, რომ ერნან კრესპოს გუნდში დაბრუნება კლუბს ახალ სიმაღლეებთან მიიყვანს".

## რონალდოს "მილანში" უნდა

ბრაზილიის ნაკრებისა და მადრიდის "რეალის" თავდამსხმელი რონალდო, როგორც ამაში გვარწმუნებს მისივე თანაგუნდელი კაფუ, რომელიც თავის მხრივ მილანის "მილანში" თამაშობს, რონალდოს "მილანში" გადასვლა სურს.

"როდესაც ერთად ვართ ნაკრებში, ყოველთვის "მილანზე" მეკითხება, - ვითარებაში გვარკვევს მილანელთა ბრაზილიელი მცველი. – რონალდოს სურს, ყველას დაანახოს, რომ იგი დიდი მოთამაშე, ნამდვილი ჩემპიონია. მას კვლავაც სურს, იტალიაში აღმოჩნდეს (რონალდო "რეალში" "ინტერიდან" გადავიდა) და აქ გახდეს ჩემპიონი. გარდა ამისა, "მილანში" ბევრი ბრაზილიელია (მეკარე დიდა და ნახევარმცველი კაკა) და თითოეულ ჩვენთაგანს ძალზე მეგობრული დამოკიდებულება გვაქვს".

ცსკ

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის

განცხადება

იმ დამკვირვებელ ორგანიზაციებს, რომლებიც კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებულნი არიან საქართველოს პარლამენტის საერთო არჩევნებისას, შეუძლიათ მიმართონ შესაბამის საარჩევნო კომისიას, საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 1 ოქტომბრის ხელახალ და შუალედურ არჩევნებზე დაკვირვების მიზნით, არაუგვიანეს დამკვირვებელთა სიის წარდგენის კანონით განსაზღვრული ვადისა - 2005 წლის 26 სექტემბრის 18 საათისა და, შესაბამისად, წარადგინონ დამკვირვებელთა სია.

საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომლებსაც არ გაუვლიათ რეგისტრაცია საქართველოს პარლამენტის საერთო არჩევნებისას შეუძლიათ საქართველოს პარლამენტის 2005 წლის ხელახალ და შუალედურ არჩევნებზე დაკვირვების მიზნით მიმართონ შესაბამის საარჩევნო კომისიას რეგისტრაციის მოთხოვნით არაუგვიანეს 2005 წლის 1 სექტემბრის 18 საათისა და კანონით დადგენილი წესითა და ვადებში გაიარონ რეგისტრაცია.

*ფეხბურთი*

# გაიოზ დარსაძე - „ხუთჯვაროსნების" ახალი სარდალი

მიხეილ აბაიშვილი

როგორც იქნა, ფეხბურთში საქართველოს ეროვნულ ნაკრებს მესაჭე გამოუჩნდა. მოარული ხმები გამართლდა: მიმდინარე შესარჩევი ციკლის ბოლომდე ქვეყნის უპირველეს საფეხბურთო გუნდს ფედერაციის ტექნიკური დირექტორი, გაიოზ დარსაძე უხელმძღვანელებს. ეს ცნობილი გახდა გუშინ, 8 აგვისტოს გამართული საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომის დასრულების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე.

აღმასკომმა ორი საკითხი განიხილა. განხილვამ წყნარ და თითქმის უნისონურ ვითარებაში ჩაიარა. აღმნასრულებელი კომიტეტის წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს პირველი ლიგის დებულება და კალენდარი. თითქმის ერთხმად მოხდა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე გაიოზ დარსაძის კანდიდატურის დამტკიცებაც. კენჭისყრაში მონაწილეობისაგან მხოლოდ ერთმა წევრმა შეიკავა თავი. ახალ მთავარ მწვრთნელს სამწვრთნელო შტაბში ჯერ მხოლოდ ერთი დამხმარე ჰყავს – მეკარეების მწვრთნელად მამუკა აბუსერიძე დაინიშნა. ფედერაციის ხელმძღვანელობამ მთავარი მწვრთნელის თანაშემწის პოსტი თემურ ქეცბაიას შესთავაზა, თუმცა, შეთავაზებისათვის მადლობასთან ერთად თავაზიანი უარიც მიიღო. თემურ ქეცბაია კვიპროსის ჩემპიონის, ფამაგუსტას ანორთოსისის მთავარი, თან მოთამაშე მწვრთნელია. ეს გუნდი კი საკმაო წარმატებით ასპარეზობს უეფას ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ტურნირში. "ანორთოსისმა" წარმატებით დაძლია მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი, პორი თამაშის ჯამში დაამარცხა რა თურქეთის ვიცეჩემპიონი, "ტრაბზონსფორი" და ეხლა ზურა ხიზანიშვილის "გლაზგო რეინჯერსთან" შესახვედრად ემზადება. სფფ-ს პრეზიდენტმა, ნოდარ ახალკაცმა ანალოგიური წინადადებით თბილისის "დინამოს" მთავარ მწვრთნელს, კახა ცხადაძეს მიმართა. ამ საკითხის გადაწყვეტაც, ჯერჯერობით, მოლაპარაკების სტადიაშია და ახლო მომავალში გაირკვევა.

საქართველოს ეროვნულ ნაკრებს სულ რაღაც ერთ კვირაში უწევს მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირის შესარჩევი მატჩის ჩატარება. "ხუთჯვაროსნები" 17 აგვისტოს ალმა ათაში ყაზახეთის ნაკრებს ეთამაშებიან. ახალმა მთავარმა მწვრთნელმა უკვე დაასახელა საყაზახეთო შემადგენლობა.

**მეკარეები: ზვიად სტურუა ("დინამო" თბილისი), გიორგი ლომაია ("ხიმკი", რუსეთი); მცველები: ზურაბ ხიზანიშვილი ("გლაზგო რეინჯერსი", შოტლანდია), კახა კალაძე ("მილანი", იტალია), მალხაზ ასათიანი ("ლოკომოტივი", რუსეთი), ლევან კობიაშვილი ("შალკე", გერმანია), ლაშა სალუქვაძე ("რუბინი", რუსეთი), კახა ალადაშვილი ("დინამო", თბილისი), შალვა ღონღაძე ("ზესტაფონი"); ნახევარმცველები: ზურაბ მენთეშაშვილი ("სკონტო", ლატვია), ლევან ცქიტიშვილი ("ვოლფსბურგი", გერმანია), ჯაბა კანკავა ("ალანია", რუსეთი), გოგა გახოკიძე ("ტვენტე", ჰოლანდია), გიორგი განუგრავა ("ზესტაფონი"), კახა ჩხეტიანი ("ზესტაფონი"), დავით ოდიკაძე ("დინამო" თბილისი); თავდამსხმელები: დავით მუჯირი ("შტურმი", ავსტრია), ალექსანდრე იაშვილი ("ფრაიბურგი", გერმანია), გიორგი დემეტრაძე ("ალანია", ცრუსეთი), ლადო ახალაია ("ციურიხი", შვეიცარია).**

იმის გამო, რომ 17 აგვისტო ფიფას კალენდარში შეტანილია ამხანაგური თამაშების ჩატარების თარიღის სტატუსით, საქართველოს ნაკრები სრულფასოვან საწვრთნელ შეკრებას ვერ გაივლის. ასეთ თარიღებზე, ნოდარ ახალკაცის თქმით, კლუბებს უფლება აქვთ, ფეხბურთელები თამაშამდე მხოლოდ სამი დღით ადრე გამოუშვან. ეს იმას ნიშნავს, რომ ნაკრები თბილისში გამგზავრების დღეს, ანუ 15 აგვისტოს შეიკრიბება, ჩარტერული რეისით ალმა-ათაში გადაფრინდება და მოსამზადებლად მხოლოდ ორი დღე ექნება.

# წარმატებული დებიუტი

მიხეილ აბაიშვილი


შეტევაზეა ალადაშვილი.

გუშინ, 8 აგვისტოს, საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩისწინა საკონტროლო შეხვედრა ჩაატარა. ჩვენი ახალგაზრდულის მეტოქე აზერბაიჯანის 21-წლამდელთა ნაკრები იყო. ამ შეხვედრაში შედგა კობა ჟორჟიკაშვილის დებიუტი ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე და უნდა ითქვას, რომ სტარტი, შედეგის მიხედვით მაინც, წარმატებული აღმოჩნდა. თამაშის ხარისხმა კი აშკარად უკეთესის სურვილი დატოვა. მთელი შეხვედრის განმავლობაში, მეტ-ნაკლებად თანაბარი ბრძოლის პირობებში, სახიფათო მომენტები მხოლოდ საქართველოს ნაკრების კართან იქმნებოდა. აზერბაიჯანელი ფეხბურთელები, განსაკუთრებით მეორე ტაიმში, მომენტს მომენტზე ქმნიდნენ მასპინძელთა კართან, მაგრამ დამაგვირგვინებელ ფაზაში ან ზუსტად ვერ თამაშობდნენ, ან ჩვენი ახალგაზრდულის მეკარე იყო მოწოდების სიმაღლეზე. სტუმართა კართან პრაქტიკულად ერთი სახიფათო მომენტი შეიქმნა და ისიც გოლით დაგვირგვინდა. ეს 83-ე წუთზე მოხდა: გუნდის კაპიტანმა, ჯაბა კანკავამ ფლანგურ გარღვევაზე გაიყვანა წინამძღვრიშვილი, რომლის მაღალი ჩაწოდებულიც მეკარის მოედანთან მდგომმა გოცირიძემ ზუსტი თავური დარტყმით დააგვირგვინა. ეს გოლი შეხვედრაში ერთადერთი აღმოჩნდა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჟორჟიკაშვილმა აქცენტი ძირითადად 1988 წელს დაბადებულ ფეხბურთელებზე გააკეთა, იმ დროს, როცა მეტოქე გუნდი 4-5 წლით უფროსი ფეხბურთელებით იყო დაკომპლექტებული. სწორედ ეს ფეხბურთელები ითამაშებენ 16 აგვისტოს ყაზახეთშიც, მასპინძელთა ახალგაზრდულ ნაკრებთან, თან საკმაო დანაკლისითაც. გუშინდელი შემადგენლობიდან სამი ფეხბურთელი – ჯაბა კანკავა, გიორგი განუგრავა და კახა ალადაშვილი ეროვნულ ნაკრებში არიან გამოძახებულნი და ჟორჟიკაშვილს მათი შემცვლელების მოძებნა მოუწევს.

*ჭადრაკი*

# ევროპის დაფაზე საქართველოს ქალთა ნაკრები მეორეა

მოჭადრაკეთა გუნდური მე-15 ევროპის ჩემპიონატი, რომელსაც 29 ივლისიდან 7 აგვისტოს ჩათვლით გიოტებორგი (შვედეთი) მასპინძლობდა, დასრულებულია. შესაბამისად გაირკვა გამარჯვებულთა ვინაობაც.

ქალთა შორის უმთავრეს ჯილდოს პოლონელები დაეუფლნენ, რომლებმაც ცხრა ტურის ჯამში 15 ქულა დააგროვეს. გამარჯვებულებს ერთი ქულით ჩამორჩნენ ქართველი მოჭადრაკეები (მაია ჩიბურდანიძე, ნინო ხურციძე, მაია ლომინეიშვილი, ნანა ძაგნიძე, ქეთევან არახამია-გრანტი), რომლებიც შესაბამისად ჩემპიონატის ვერცხლის მედლები მოიპოვეს. მესამეზე კი 12 ქულით რუსეთის გუნდი გავიდა, რომელიც მერვე ტურში სწორედ საქართველოს ნაკრებთან 1,5:2,5 დამარცხდა. აქვე ისიც ვთქვათ, რომ ბოლო ტურში ქართველ მოჭადრაკეებს ბერძნებთან მოუწიათ ურთიერთობის გარკვევა, თუმცა ამ შემთხვევაში ყველაფერი "მშვიდობიანად" დასრულდა. საქართველოსა და საბერძნეთის ნაკრებები ერთმანეთს ყაიმით – 2:2 გაეყარნენ. გადამწყვეტი მეცხრე ტური კი იმად იყო მნიშვნელოვანი, რომ მის შედეგებზე იყო დამოკიდებული თუ როგორ გადანაწილდებოდა საპრიზო ადგილები. საინტერესო კი ისაა, რომ მეცხრე ტურის შეხვედრებში ერთმანეთს ერთნაირი ანგარიშით - 2:2 გაეყარნენ: სომხეთი – პოლონეთი, საბერძნეთი – საქართველო (რაზეც უკვე ვთქვით), ბულგარეთი – რუსეთი, სერბეთი და მონტენეგრო – რუმინეთი.

რაც შეეხებათ ვაჟებს, 15 ქულით ევროპის გუნდური ჩემპიონატი ჰოლანდიელებმა მოიგეს, რომლებმაც გადამწყვეტ ტურში პოლონელებს – 2,5:1,5 სძლიეს. სხვათა შორის, ჰოლანდიელებს აუცილებლად გამარჯვება ესაჭიროებოდათ კონტინენტის საუკეთესო გუნდის სახელის მოსაპოვებლად.

მეორე მესამე ადგილებზე, შესაბამისად, 14 და 13 ქულით გავიდა ისრაელი და საფრანგეთი.

საქართველოს ვაჟ მოჭადრაკეთა ნაკრებმა (ზურაბ აზმაიფარაშვილი, ბაადურ ჯობავა, ლევან ფანცულაია, მიხეილ მჭედლიშვილი, ლაშა ჯანჯღავა), რომელმაც მერვე ტურში მომავალი ვერცხლის მედალოსანი ისრაელის გუნდი 2,5:1,5 დაამარცხა, გადამწყვეტ მეცხრე ტურში საბერძნეთთან 1,5:2,5 წააგო, მდგომარეობა გაიუარესა და ჩემპიონატი მეშვიდე ადგილით დაასრულა.

ცსკ

INTERNATIONAL IDEA INSTITUTE FOR DEMOCRACY AND ELECTORAL ASSISTANCE

JE MAINTIENDRAI

ცენტრალური საარჩევნო კომისია დემოკრატიისა და არჩევნების ხელშეწყობის
ნიდერლანდების საელჩო საერთაშორისო ინსტიტუტი

განცხადება

საარჩევნო ფასილიტატორის ვაკანსიის შესახებ

საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, საარჩევნო ადმინისტრაციის პროფესიული განვითარების პროგრამისათვის (რომელიც დაიწყება 2005 წლის ოქტომბერში), ესაჭიროება 30 ახალი თანამშრომელი საარჩევნო ფასილიტატორის თანამდებობაზე.

ცესკო-ს მიერ 2005 წლის აგვისტოში შექმნილი საკონკურსო კომისია (რომელიც შედგება ცესკოს 2 წევრისგან, 2 არასამთავრობო ორგანიზაციის წევრისაგან და პროექტ BRIDGE - ის 2 ფასილიტატორისგან) განიხილავს წარდგენილ განცხადებებს და გასაუბრებისათვის შეარჩევს 60 კანდიდატს. გასაუბრების შედეგად შეირჩევა 30 კანდიდატი, რომელიც გაივლის საერთაშორისო IDEA-სა და ცესკოს მიერ ერთობლივად ორგანიზებულ საარჩევნო ფასილიტატორის მოსამზადებელ ორკვირიან კურსს. მომზადებული და ცესკო-ს მიერ აკრედიტირებული ფასილიტატორები, სავარაუდოდ მიწვეულნი იქნებიან ცესკო-ს მიერ საარჩევნო ადმინისტრაციისათვის პროფესიული განვითარების კურსების ჩასატარებლად.

ფასილიტატორების მომზადებისას გამოყენებული პროგრამა და მეთოდოლოგია მოიცავს უნარ-ჩვევებისა და შესაძლებლობების განვითარების კურსს, რომელსაც ეწოდება BRIDGE (დემოკრატიის, მმართველობისა და არჩევნების სფეროში რესურსების შექმნა).

**სტარტეგიის შესახებ**

2005 წლის თებერვალ-ივნისში, საქართველოს ცენტრალუ000რმა საარჩევნო კომისიამ (ცესკო) დემოკრატიისა და არჩევნების ხელშეწყობის საერთაშორისო ინსტიტუტთან (International IDEA - შვედეთში დაფუძნებული სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია, რომლის მიზანია დაეხმაროს მდგრადი დემოკრატიის განვითარებას მთელ მსოფლიოში) ერთად, საერთაშორისო IDEA-ს წევრი სახელმწიფოს - ნიდერლანდების სამეფოს - განვითარების სამინისტროსა და სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს მხარდაჭერით, შეიმუშავა სასწავლო სტრატეგია. ეს სტრატეგია წარმოადგენს საარჩევნო ადმინისტრატორების სწავლებისა და პროფესიული განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის ნაწილს და ითვალისწინებს კვალიფიციური ტრენერების მომზადებას, რომლებიც განახორციელებენ საქართველოში საარჩევნო ადმინისტრაციის პროფესიულ სწავლებას დემოკრატიული არჩევნების ჩატარების უზრუნველსაყოფად.

**განცხადებების მიღების ბოლო ვადაა 2005 წლის 25 აგვისტო**. დამატებითი ინფორმაციისათვის ცესკო-ს შესახებ იხილეთ: www.cec.gov.ge

დამატებითი ინფორმაციისათვის International IDEA-ს შესახებ იხილეთ: www.idea.int

დამატებითი ინფორმაციისათვის BRIDGE-ის პროექტის შესახებ იხილეთ: www.bridge-project.org

განცხადება ასევე შეგიძლიათ იხილოთ: www.jobs.ge
საკონტაქტო პირი: ნინო კორინთელი
საკონტაქტო მონაცემები: ელ-ფოსტა: nino@cec.gov.ge
ტელ: (+ 995 32) 98 83 42

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო, ქ. თბილისი, 0105, ლერმონტოვის ქ.N10, 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ენერგეტიკული სექტორის სუბსიდირებისთვის განკუთვნილი ასიგნებების ფარგლებში აცხადებს ღია ტენდერს სს "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" რეაბილიტაციის პროგრამების ღონისძიებებზე ***შემდეგი ლოტების მიხედვით:***

**ლოტი I - გამანაწილებელი ქსელის რეაბილიტაციის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს შემდეგი საქონლის შესყიდვა-მოწოდების განხორციელებას:**

| |
|---|
| გამანაწილებელი სადენი 2X6მმ$^{2}$ (სპილენძი) |
| სადენი ძალოვანი კარადიდან მრიცხველის კარადამდე 4X35მმ$^{2}$ (ალუმინი) |
| სადენი ძალოვანი კარადიდან მრიცხველის კარადამდე 4X50მმ$^{2}$ (ალუმინი) |
| ძალოვანი სადენის 4X35მმ$^{2}$-ის (ალუმინი) ბუნიკი |
| ძალოვანი სადენის 4X50მმ$^{2}$-ის (ალუმინი) ბუნიკი |
| სადენის სამაგრი ჩამჭერები 2X6მმ$^{2}$-ისათვის |
| დაბალი ძაბვის იზოლატორები თავისი სამაგრით |
| გამანაწილებელი სადენის 2X6მმ$^{2}$ - სამაგრები (სპილენძის) |
| ძალოვანი სადენის 4X35მმ$^{2}$-ის (ალუმინი) სამაგრი |
| ძალოვანი სადენის 4X50მმ$^{2}$-ის (ალუმინი) სამაგრი |
| ფეუტი 150 მმ-ის |
| ფეუტი 1000 მმ-ის |
| პოლიეთილენის (პლასტმასის) მილი D=100 |
| პოლიეთილენის მილის სამაგრები 50მმ$^{2}$-ის |
| დამიწების სადენი D=6მმ (კატანკა) |
| პერიოდული რკინა D=18მმ |
| **ძალოვანი კაბელები** |
| 3X50 - 10 კვ |
| 3X70 - 10 კვ |
| 3X95 - 10 კვ |
| 3X120 - 10 კვ |
| 3X185 - 10 კვ |
| 3X240 - 10 კვ |
| 3X25+1X16 - 0.4 კვ |
| 3X50+1X25 - 0.4 კვ |
| 3X70+1X35 - 0.4 კვ |
| 3X95+1X50 - 0.4 კვ |
| 3X120+1X70 - 0.4 კვ |
| თვითმზიდი იზოლირებული კაბელი 4X16 0.4კვ |
| თვითმზიდი იზოლირებული კაბელი 3X25+1X54 - 0.4კვ |
| **შიშველი ალუმინის გამტარები:** |
| 80-იანი AC-35 |
| 50-იანი AC-35 |
| 70-იანი AC-35 |
| **საყრდენები და იზოლატორები:** |
| რკინაბეტონის ბოძი 10 კვ |
| რკინაბეტონის ბოძი 0.4 კვ |
| იზოლატორი 10 კვ |
| იზოლატორი 0.4 კვ |

**ლოტი II - კომპიუტერული (საბილინგო) მოწყობილობების შეძენა-მოწოდების პროგრამა**

| N | სპეციფიკაცია |
|---|---|
| 1 | პერსონალური კომპიუტერი, მონიტორი და უწყვეტი კვების ბლოკი (UPS) |
| 2 | მცირე სიმძლავრის სერვერი (Workstation) და უწყვეტი კვების ბლოკი |
| 3 | სერვერი |
| 4 | უწყვეტი კვების წყარო მომუშავე Online რეჟიმში |
| 5 | გენერატორი |
| 6 | ქსელური პრინტერი |
| 7 | ქსელური პრინტერი |
| 8 | სკანერი |
| 9 | ასლის გადამღები აპარატი |
| 10 | ფაქსის აპარატი |
| 11 | ლეპტოპი თავისი ჩანთით |
| 12 | სისკოს დამცავი გადამრთველი (Switch) |
| 13 | სისკოს როუტერი |
| 14 | საკასო აპარატი |
| 15 | ქსელის გადამრთველი (Switch) |
| 16 | ქსელური როუტერი |
| 17 | პროგრამული უზრუნველყოფა ბილინგის სისტემისათვის |

და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს. ტენდერში შესაძლებელია თითოეულ ლოტზე ერთი გამარჯვებულის გამოვლენა. თოთოეულ ლოტზე, დასაშვებია მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადების წარმოდგენა დახურულ კონვერტში, რომელშიც უნდა მიეთითოს შემოთავაზებული ლოტის დასახელება და წინადადების ფასი ამ ლოტზე. კომისია მოახდენს წინადადების შეფასებას თითოეული ლოტის მიხედვით.

2. სამუშაოს შესრულების სავალდებულო ვადაა 2005 წლის 15 დეკემბერი, მიწოდების ადგილი - დანიშნულების ადგილი.

- დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე ან საერთაშორისო ვაჭრობის პრაქტიკაში აღიარებულ უცხო ენიდან ქართულ ენაზე ნათარგმნი ნოტარიულად დამოწმებული სახით უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 24 აგვისტოდან 29 აგვისტოს 17.00. სთ-მდე მისამართზე, ქ. თბილისი, ლერმონტოვის ქ.N10, სამინისტროს კანცელარიაში სატენდერო კომისიის აპარატი - მე-4 სართული ქ-6 ი. მშვიდობაძესთან.

- სხვა ინფორმაციას, რის წარმოდგენასაც საჭიროდ ჩათვლის პრეტენდენტი.

3. საკვალიფიკაციო მონაცემები ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ლოტისათვის უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

3.1 საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებული რეზიდენტი იურიდიული პირისათვის:

ა) რაიონული სასამართლოდან ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ბ) საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან ცნობას, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) შინაგან საქმეთა სამინისტროდან ცნობას რომ მისი ხელმძღვანელი (ხელმძღვანელები) უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული ან მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

დ) რაიონული სასამართლოდან ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმე;

ე) საგადასახადო სამსახურიდან ცნობას საბიუჯეტო ვალდებულებების შესახებ.

3.2. საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი რეზიდენტი ფიზიკური პირისათვის:

ა) შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან ცნობას რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედუნარიანობა;

ბ) შინაგან საქმეთა სამინისტროდან ცნობას რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებულ დანაშაულისათვის;

გ) რაიონული სასამართლოდან ცნობას რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

დ) საგადასახადო სამსახურიდან ცნობას საბიუჯეტო ვალდებულებების შესახებ.

3.3. ტენდერში მონაწილე უცხო ქვეყნის რეზიდენტების მიერ ზემოხსენებული საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან.

4. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-3 მუხლში მოცემული ყველა ცნობას და ინფორმაციას, რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება ან ვერ დააკმაყოფილებს წაყენებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

5. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ქართულ ენაზე, ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს სატენდერო მოსაკრებლის სპეციალურ სალარე ანგარიშზე: ბანკის კოდი 220101107 ა/ა. 000141408 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ შეეძლებათ 2005 წლის 1 სექტემბრის 17 სთ.-მდე მისამართზე: ენერგეტიკის სამინისტრო, ლერმონტოვის ქ.N10., სატენდერო კომისიის აპარატი.

6. სატენდერო კომისიაში დასაშვებია თითოეულ ლოტზე ერთი სატენდერო წინადადების წარმოდგენა, რომელშიც უნდა მიეთითოს შემოთავაზებული ლოტის დასახელება და წინადადების ფასი ამ ლოტზე. კომისია მოახდენს წინადადების შეფასებას თითოეული ლოტის მიხედვით. ალტერნატიული წინადადებების წარმოდგენა ტენდერში გათვალისწინებული არ არის.

7. პრეტენდენტის სატენდერო წინადადება შესაძლოა ითვალისწინებდეს წინასწარ ანგარიშსწორებას. ამ შემთხვევაში მან უნდა წარადგინოს საავანსო თანხის შესაბამისი ოდენობის საბანკო გარანტია, როგორც ხელშეკრულების უზრუნველყოფის საშუალება სატენდერო დოკუმენტაციაში განსაზღვრული პირობების დაცვით.

8. დასაშვებია პრეტენდენტმა (გამარჯვებულმა) სატენდერო დოკუმენტაციაში (ხელშეკრულებაში) განსაზღვრული მისი ვალდებულებებების დაკისრება ტენდერის მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე დაავალოს სუბკონტრაქტორს, რომელიც აგრეთვე უნდა აკმაყოფილებდეს ზემოხსენებული მე-5 მუხლის მოთხოვნებს და სატენდერო დოკუმენტაციის საერთო პირობების მოთხოვნების დაცვით დადგენილი წესით ეს უნდა შეთანხმდეს სატენდერო კომისიასთან.

9. სატენდერო კომისია ტენდერში გამარჯვებულის გამოსავლენად გამოიყენებს შეფასების შემდეგ კრიტერიუმებს:

| შეფასების კრიტერიუმები | პრიორიტეტულობის კოეფიციენტი |
|---|---|
| სატენდერო წინადადების ღირებულება | 0,70 |
| სამუშაოს შესრულების ვადები | 0,20 |
| ანგარიშსწორების ფორმები და პირობები | 0.10 |
| სულ | 1,0 |

10 დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: იზოლდა მშვიდობაძე მისამართზე: ქ. თბილისი, ლერმონტოვის ქ.N10., საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო სატენდერო კომისიის აპარატი, მე-4 სართული; ტელ: 99 60 98.

*საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს სატენდერო კომისია*

სსიფ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **ახმეტის რაიონის სოფ. Gდუისის სკოლის რეაბილიტაცია.**

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება სოფ. Gგრემის განვითარების სათემო კავშირთან "ერთობა", რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სათემო კავშირი "ერთობა" იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

საქართველო, ახმეტის რაიონი,
სოფ. დუისის, გამგეობის შენობა
საკონტაქტო პირი ვანო მარგოშვილი -სათემო კავშირი "ერთობა"-ს თავჯდომარე

2005 წლის 12 აგვისტოს 10-დან 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით 1900 ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

საქართველო, ახმეტის რაიონი,
სოფ. დუისის, სკოლის შენობა
საკონტაქტო პირი ვანო მარგოშვილი -სათემო კავშირი "ერთობა"-ს თავჯდომარე 2005 წლის 12 სექტემბრის **13:00** საათამდე.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **13:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

სსიფ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **ახმეტის რაიონის სოფ. Gმატანის სკოლის რეაბილიტაცია.**

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება სოფ. Gგრემის განვითარების სათემო კავშირთან "სიხარული", რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სათემო კავშირი "სიხარული" იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

საქართველო, ახმეტის რაიონი,
სოფ. გრემის, გამგეობის შენობა
საკონტაქტო პირი ზურაბ ჯანიბეგაშვილი -სათემო კავშირი "სიხარული"-ს თავჯდომარე

2005 წლის 12 აგვისტოს 10-დან 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით 1800 ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

საქართველო, ახმეტის რაიონი,
სოფ. მატანის, გამგეობის შენობა
საკონტაქტო პირი ზურაბ ჯანიბეგაშვილი -სათემო კავშირი "სიხარული"-ს თავჯდომარე 2005 წლის 12 სექტემბრის **14:30** საათამდე.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **14:30** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია აცხადებს ღია ტენდერს სამეურნეო საქონელის შესყიდვისათვის და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 24 აგვისტოს 11 საათიდან 26 აგვისტოს 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ. №7, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის საფინანსო სამსახური.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიული პირისათვის:

1. განცხადება ტენდერში მონაწილეობის თაობაზე, მონაწილის იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები;
2. ცნობები სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;
3. ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;
4. ცნობა შსს-დან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;
5. ცნობა შესაბამისი საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

ფიზიკური პირისათვის:

1. განცხადება ტენდერში მონაწილეობის თაობაზე, მონაწილის იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები;
2. ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;
3. ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;
4. ცნობები სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;
5. ცნობა შესაბამისი საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

უცხო ქვეყნის წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზევით დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ზემოთ მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

საკვალიფიკაციო მონაცემების შერჩევა მოხდება 2005 წლის 29 აგვისტოს 15 საათზე წარმოდგენილი დოკუმენტების ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე. სატენდერო კომისიის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენ პირებს შერჩევის შედეგი ეცნობებათ წერილობით.

სატენდერო დოკუმენტაციის მიღება საკვალიფიკაციო შერჩევის შედეგად დამტკიცებულ პრეტენდენტებს 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ (რეკვიზიტები: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის საოპერაციო დეპარტამენტი, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია, საქართველოს ეროვნული ბანკი, ა/ა 000141408, კოდი 220101107) შეეძლებათ არა უგვიანეს 2005 წლის 9 სექტემბრის 15 საათისა შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ. №7, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის საფინანსო სამსახური.

სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება.

ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: შორენა მამუკაშვილი, მისამართზე: ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ. №7, ტელეფონი 93-47-39, 8(99) 73-28-78.

*სატენდერო კომისია*

# ლოკარნოს მთავარი გმირი

ლოკარნოს კინოფესტივალზე ირანელი რეჟისორი აბას კიაროსტამი განსაკუთრებული პრიზით დააჯილდოეს. მას მიენიჭა "თანამედროვე ირანული კინემატოგრაფის უდიდესი რეჟისორის" წოდება და გადაეცა ჯილდო – "დიდების ლეოპარდი".

ფესტივალის ორგანიზატორების თქმით, კიაროსტამი მსოფლიო კინოს ერთ-ერთი უდიდესი სახელია.

რეჟისორმა ლოკარნოს მთავარი პრიზი – "ოქროს ლეოპარდი" 1989 წელს მოიპოვა ფილმისთვის "სად არის მეგობრის სახლი?" რვა წლის შემდეგ გადაღებულმა "ალუბლის გემომ" კი რეჟისორს კანის კინოფესტივალის მთავარი პრიზი – ოქროს პალმის რტო არგუნა (1997 წ).

კიაროსტამი თავისი თაობის ირანელი კოლეგებისგან მართლაც გამორჩეული ფიგურაა. 1979 წელს მომხდარი ისლამისტური რევოლუციის შემდეგ, დანარჩენი რეჟისორების მსგავსად, მან ირანი არ დატოვა, სამშობლოში დარჩა და მოღვაწეობა იქვე განაგრძო. მერე კი ხშირად იმეორებდა ხოლმე, რომ მისი აზრით, თავის საუკეთესო ფილმებს სწორედ ირანში აკეთებდა.

თუმცა, ეს არ ნიშნავდა იდეურ კომპრომისს. პირიქით, ფილმების თემატიკის გამო (მაგალითად, სურათი "ათი" და მისი მწვავე მთავარი თემა – ქალების ბედი) კიაროსტამი ხშირად ხდებოდა სამთავრობო ცენზორების მსხვერპლი. მეტიც, 10 წლის განმავლობაში მისი ფილმების ჩვენება ირანში ოფიციალურად იყო აკრძალული. პარალელურად, რეჟისორს ბიუროკრატიული პრობლემები ირანს გარეთაც ხშირად ექმნებოდა. საერთაშორისო აღიარების მიუხედავად ის 11 სექტემბრის შემდეგ გამკაცრებული ამერიკული იმიგრაციული კანონმდებლობის მსხვერპლიც გახდა – 2002 წელს ნიუ იორკის კინოფესტივალზე საკუთარი ფილმის "ათის" ჩვენებაზე დასასწრებად ამერიკული ვიზა არ მისცეს.

ამ ფონზე, კიაროსტამისთვის ლოკარნოს ფესტივალის პრიზი ძალიან ძვირფასია.

ცნობისთვის, ათდღიანი კინოღონისძიება შვეიცარიის იტალიურ ნაწილში 13 აგვისტოს დასრულდება.








ყველაზე ჭკვიანი

შენ სწავლობ სკოლაში და ხარ 11 ან 12 წლის ?
ხარ ჭკვიანი და გამოირჩევი სწრაფი აზროვნებით?
არ გეშინია გამოხატო შენი ინტელექტუალური შესაძლებლობები?
მაშინ, შენ შეგიძლია გახდე გადაცემის "ყველაზე ჭკვიანის" მონაწილე !

ამისათვის საჭიროა:

შეავსო ანკეტის ფორმა მშობელთან ერთად.

მოგვაწოდო ინფორმაცია შენს შესახებ, იმ შემთხვევაშიც კი თუ საქართველოს ყველაზე შორეულ კუთხეში ცხოვრობ.

ჩვენ ვეძებთ ყველაზე ჭკვიან ბავშვებს !

მონაწილის ანკეტა (შეავსე ყველა გრაფა)

სახელი, გვარი, მამის სახელი ---------------

მისამართი ---------------

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ---------------

დაბადების თარიღი ---------------

სკოლა ---------------

კლასი ---------------

დამატებითი საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ---------------

მშობლის ან მეურვის სახელი, გვარი ---------------

მშობლის ან მეურვის ხელმოწერა ---------------

ყურადღება: კონკურსანტი ბავშვის ასაკი არ უნდა იყოს 2005 წლის 1 სექტემბრისათვის 11 წელზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 12-ს. ანკეტა გამოაგზავნეთ მხოლოდ ერთ ეგზემპლარად.

ანკეტა გამოაგზავნეთ ფოსტით ან მოგვიტანეთ მისამართზე: სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2", ვაჟა ფშაველას 45, 300077 თბილისი

ბ ლ ა ნ კ ი უ ფ ა ს ო ა


# დიდი გაზეთი, დიდი ფოტოგრაფი და დიდი არქიტექტორი

ფოტოგრაფი ენი ლეიბოვიცი საინტერესო სახეებიდან ფასადებზე გადაერთო. მისი ახალი პროექტის მთავარი გმირი შენობაა, უფრო კონკრეტულად კი – "ნიუ იორკ ტაიმსის" რედაქციის ახალი შტაბ-ბინა მანჰეტენზე.





არქიტექტორმა რენცო პიანომ ორ წელზე გათვლილი მშენებლობა ივლისში დაიწყო (მისი ცნობილი ნამუშევრებია: პრომეტეოს მუსიკალური ცენტრი ვენეციასა და მილანში; სიდნეის საოფისე ცათამბჯენი; ნიკოლო პაგანინის დარბაზი პარმაში; პარკო დე ლა მუზიკა, რომში; ჟორჟ პომპიდუს ცენტრი პარიზში; ბეიელერის ფონდის მუზეუმი ბაზელში; IBM-ის მოძრავი პავილიონი; პოტსდამერ პლაცის რეკონსტრუქცია ბერლინში; კანსაის საერთაშორისო აეროპორტის ტერმინალი ოსაკაში...).

ივლისშივე გამოცხადდა ფოტოკამერით შეიარაღებული ფოტოგრაფი ლურჯი მესერით შემოფარგლულ ტერიტორიაზე პირველად. ეს ტერიტორია მე-40 და 41-ე ქუჩების გადაკვეთაზე – ქალაქის ერთ-ერთ ყველაზე ხალხმრავალ უბანში მდებარეობს. მანამდე ამ ადგილას ძველი მაღაზიები იყო განლაგებული – ვიდეოკასეტების გაქირავების პუნქტი, საპარიკმახერო, ელექტრონიკის მაღაზია და ტავერნა. ლეიბოვიცი ორი წლის განმავლობაში ივლის და ფოტოკამერით აღბეჭდავს მშენებლობის პროცესს მანამ, სანამ 2007 წლის დასაწყისისთვის ცათამბჯენში ნელ-ნელა შესახლებას დაიწყებენ "ნიუ იორკ ტაიმსის" და რამდენიმე სხვა კომპანიის თანამშრომლები. ფოტოებს შემდეგ კომპანია "ფორესტ სიტი რატნერი" – როგორც ერთ-ერთი მფლობელი და ასევე უძრავი ქონების ბროკერები გამოიყენებენ. "ფორესტ სიტი რატნერი" ფოტოებს იქვე, ტროტუარზე მოწყობილ გამოფენაზე გამოფენს.

გეგმა ასეთია – ლეიბოვიცი მშენებლებთან ერთად ივლის ხარაჩოებზე, რათა ორივეს გადაღება შეძლოს, მშენებლობის ახლო ხედებისაც და ქალაქის პანორამისაც. როგორც თავად ამბობს, ასეთი მასშტაბური და გრძელვადიანი პროექტის გადაღება ყოველი ფოტოგრაფის ოცნებაა. "ასეთი განვითარებული ტექნიკის ეპოქაში საკვირველად ლამაზია, თვალი ადევნო იმას, თუ როგორ აშენებენ საკუთარი ხელებით ადამიანები ცათამბჯენებს – ისე, როგორც ძველად".

რაც შეეხება თვითონ შენობას, ის თანემედროვეობის საუკეთესო ტრადიციებზე იქნება დაფუძნებული – დიდი სივრცე, ბევრი სინათლე, მბზინვარე ლითონისა და ხის მასალის ჰარმონიული კომბინაცია და კერამიკის სვეტები – ეს "ნიუ იორკ ტაიმსის" ოფისის მთავარი მშვენებაა, რომელიც დაარეგულირებს სინათლეს და კლასიკურ ტონსაც მისცემს გარემოს.

თუმცა, ეს მხოლოდ დასაწყისია. ქუჩის კუთხეში ლურჯი მესერის თავზე გამოკიდებული ტრაფარეტი გვაუწყებს: "ნიუ იორკ ტაიმსის" შენობა, შესახლება 2007 წელს". მანამდე გაზეთის თანამშრომლები ძველ შენობაში აგრძელებენ მოღვაწეობას და რენცო პიანოს ნახელავის მოლოდინში გაორმაგებული ენთუზიაზმით აკეთებენ მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ პერიოდულ გამოცემას.

# ნოელი და ელვისი

"ოაზისის" შესახებ უცხოურმა მედიამ კვლავაც დაიწყო წერა. ჯგუფის მთავარმა მომღერალმა, ლიამ გალაჰერმა ინტერვიუ ესპანურ გაზეთ "ელ მუნდოს" მისცა და ჟურნალისტთან საუბარში აღნიშნა, რომ საკუთარ თავს ძალიან ამგვანებს ელვის პრესლის. "ავიღოთ ელვისი და ლიამი. ნამდვილად გამიჭირდება, გითხრათ, რომელია საუკეთესო", - დაასკვნა მან.



"ოაზისი" ბენიკასიმის ფესტივალის გამო სტუმრობს ესპანეთს. როკის მე-11 ფესტივალი "ჰაინეკენის" სპონსორობით ვალენსიის სიახლოვეს გუშინ დაიწყო და 8 აგვისტოს ჩათვლით გასტანს. ვარსკვლავებით სავსე ღონისძიებაზე "ოაზისი" მაინც ყველაზე მეტად კაშკაშებს. მანჩესტერელი ძმები პოპულარობით სარგებლობენ და უხეშად აკრიტიკებენ სხვის მუსიკას და სხვა ჯგუფებს. მაგალითად, ნოელმა არ დაინდო ჯგუფი Kaiser Chiefs და მათ "ბლერის" ცუდი ვერსია უწოდა – გალაჰერი "ბლერსაც" ვერ იტანს. თუმცა, სავარაუდოდ, ორივე ჯგუფს – Kaiser Chiefs-საც და "ოაზისსაც" უნდა ეყოს გამჭრიახობა და ბენიკასიმში შეხლა-შემოხლის გამართვას უნდა მოერიდონ. "ოაზისი" ფესტივალზე კვირას გამოვა – ნიქ ქეივის, კასაბიანის და სხვა ვარსკვლავებთან ერთად, Kaiser Chiefs-ის დღე კი შაბათი იქნება – ჯგუფ Keane-თან ერთად.

თითოეულ დღეს ფესტივალი 30 ათასამდე სტუმარს უმასპინძლებს. როკის ესპანელ მოყვარულებსა და უცხოელ ტურისტებს ხომ ასეთი შანსი იშვიათად ეძლევათ – ერთ სცენაზე უსმინონ თანამედროვე მუსიკის უამრავ ინგლისელ და ამერიკელ ვარსკვლავს.

ბენიკასიმის განრიგი შარშანაც ცნობილი სახელებით იყო დახუნძლული: "ფრანც ფერდინანდი", "სიზორს სისთერსი", "ბლოქ ფართი", "ფრაიმალ სქრიმი", "დენდი უორჰოლსი", ლუ რიდი...

წელს "ოაზისთან" და ნიქ ქეივთან ერთად ბენიკასიმში თავის წილ ფანებს Basement Jaxx, Cure და Keane-იც შეკრებს.


